

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი

ფინანსები და საბანკო საქმე

ნანა თიგიშვილი

საქართველოს აგროდაზღვევის ბაზარი: რეალობა და  
პერსპექტივები

ნაშრომი შესრულებულია ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის  
აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

მეცნიერ-ხელმძღვანელი: პროფესორი ი. კოვზანაძე

თბილისი

2020

## ანოტაცია

სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის წარმართვა მრავალ რისკთანაა დაკავშირებული: სტიქიური მოვლენები (სეტყვა, წყალდიდობა, ქარიშხალი, გვალვა და სხვ.), პარაზიტები და მავნებლები, ეპიდემიური დაავადებები მუდმივად საფრთხეს უქმნიან ფერმერთა მოსავალსა თუ შემოსავალს. გარდა ამისა, გასათვალისწინებელია ისეთი რისკებიც, როგორებიცაა: ფასების რყევა ბაზარზე, უბედური შემთხვევები, ხანძარი და მესამე პირთა სხვა ბოროტგანზრახული ქმედებები. აგროდაზღვევა ასეთი რისკების მესამე მხარისთვის გადაცემის საუკეთესო საშუალებაა. გამომდინარე აქედან, ნებისმიერი ქვეყნისთვის, რომლისთვისაც სოფლის მეურნეობა პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენს, დიდი მნიშვნელობა ენიჭება აგროდაზღვევის ბაზრის განვითარებას.

მსოფლიოში მიმდინარე კლიმატის გლობალური ცვლილების, ასევე 2020 წელს გავრცელებული ახალი კორონავირუსის ფონზე კიდევ უფრო გამოიკვეთა სასურსათო უსაფრთხოების თვალსაზრისით მსოფლიოში სოფლის მეურნეობისა და მათ შორის დაზღვევის განვითარების მნიშვნელობა და აუცილებლობა.

წინამდებარე ნაშრომში განხილულია აგროდაზღვევის არსი, მისი სახეები, ფუნქციები და თავისებურებები, დასაბუთებულია აგროდაზღვევის მნიშვნელობა სოფლის მეურნეობის განვითარებაში, გამოკვლეულია საქართველოს აგროდაზღვევის ბაზარზე არსებული სიტუაცია, გაანალიზებულია აგროდაზღვევის სფეროში გატარებული რეფორმების შედეგები და შედარებულია რეფორმამდე არსებულ მდგომარეობასთან, შესწავლილია აგროდაზღვევის გლობალური ბაზარი და დაზღვევის აღნიშნული მიმართულების განვითარებასთან დაკავშირებით მსოფლიოს წამყვანი ქვეყნების გამოცდილება, ბოლოს კი, უცხოურ გამოცდილებაზე დაყრდნობით, შემუშავებულია რეკომენდაციები საქართველოს აგროდაზღვევის ბაზარზე გამოვლენილი პრობლემების მოგვარებისა და ბაზრის განვითარებისთვის.

## **Annotation**

### **Georgian Agricultural Insurance Market: Reality and Prospects**

**Nana Tigishvili**

Agricultural activities face a multitude of risks. Natural disasters (hail, floods, hurricanes, droughts, etc.), parasites, pests and epidemic diseases pose a constant threat to farmers' crops and income. Account should also be taken of such risks as price fluctuations on the market, accidents, fires and other malicious actions by third parties. Agricultural insurance is the best way to transfer such risks to a third party. Accordingly, any country that considers agriculture as its priority, attaches great importance to the development of the agricultural insurance market.

Against the background of the ongoing global climate change and the spread of the new Coronavirus in 2020, the importance and necessity of the development of agriculture in the world, including agricultural insurance, has become even more apparent in terms of food security.

This thesis discusses the essence of agricultural insurance, its types, functions and specificities, illustrates the significance of agricultural insurance in the development of agriculture, examines the current situation in the Georgian agricultural insurance market, analyses the results of the reforms implemented in agricultural insurance and compares them to the situation prevailing prior to the reforms. The thesis also examines the global market of agricultural insurance and the experience of the world's leading countries in the development of this type of insurance. The last part of the thesis presents recommendations developed on the basis of foreign experience and are aimed at solving the problems identified in the Georgian agricultural insurance market and developing the said market.

# შინაარსი

ანოტაცია (ქართულ ენაზე)

ანოტაცია (ინგლისურ ენაზე)

შესავალი.....	5
<b>თავი პირველი. აგროდაზღვევის არსი, მისი მნიშვნელობა და თავისებურებები.....</b>	<b>8</b>
1.1. აგროდაზღვევის არსი, მისი ფუნქციები და თავისებურებები .....	8
1.2. აგროდაზღვევის მნიშვნელობა საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარებაში ...	16
<b>თავი მეორე. საქართველოს აგროდაზღვევის ბაზარი.....</b>	<b>20</b>
2.1. აგროდაზღვევის ბაზარი საქართველოში 2014 წლამდე.....	20
2.2. სადაზღვევო კომპანიები აგროდაზღვევის ბაზარზე და აგროდაზღვევის სახელმწიფო პროგრამის შედეგები .....	27
<b>თავი მესამე. აგრარული სფეროს დაზღვევის საზღვარგარეთული გამოცდილება.....</b>	<b>49</b>
3.1. აგროდაზღვევის გლობალური ბაზარი .....	49
3.2. აგროდაზღვევის უცხოური გამოცდილება და პრაქტიკა.....	51
დასკვნები და რეკომენდაციები .....	61
გამოყენებული ლიტერატურის სია.....	66
დანართი .....	71

## შესავალი

**თემის აქტუალობა.** არსებული ბუნებრივი რესურსული პოტენციალიდან და სასურსათო უსაფრთხოებიდან გამომდინარე, საქართველოსთვის სოფლის მეურნეობის განვითარება სტრატეგიულ ინტერესს წარმოადგენს, მისი მაღალრისკიანობიდან გამომდინარე კი მნიშვნელოვანია დაზღვევის განვითარება, რადგან დაზღვევა ხელს შეუწყობს ფერმერული რისკების მართვის გაუმჯობესებას, სურსათის უვნებლობის საერთაშორისო სტანდარტების დანერგვას, მაღალხარისხიანი და მრავალფეროვანი პროდუქციის წარმოების სტაბილურ ზრდას, ქვეყნის აგროსასურსათო პროდუქციის იმპორტზე დამოკიდებულების შემცირებასა და ექსპორტის სტიმულირებას, რაც, საერთო ჯამში, სოფლად მცხოვრები მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლებასა და სოფლის მეურნეობის სტაბილურ განვითარებაზე აისახება.

ქვეყანაში არსებული დაბალი სადაზღვევო კულტურიდან, ასევე თავად დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე, აგროდაზღვევის განვითარება წარმოუდგენელია სახელმწიფოს ჩარევის გარეშე. ამ მიმართულებით სახელმწიფოს ინიციატივების კარგი პრეცედენტი უკვე არსებობს: 2014 წლიდან ამოქმედდა აგროდაზღვევის სახელმწიფო პროგრამა-ეს არაა სავალდებულო სახის დაზღვევა, თუმცა სადაზღვევო პრემიის სუბსიდირებით სახელმწიფო ფერმერებს დაზღვევის მოტივაციას უქმნის.

**კვლევის მიზანი და ამოცანები.** კვლევის მიზანს წარმოადგენს საქართველოს აგროდაზღვევის ბაზარზე არსებული სიტუაციისა და ბაზრის განვითარების პერსექტივების შესწავლა. აღნიშნული მიზნის მისაღწევად ნაშრომში დასახულია შემდეგი ამოცანები:

- აგროდაზღვევის არსის, მნიშვნელობისა და თავისებურებების შესწავლა, მისი როლის დასაბუთება სოფლის მეურნეობის განვითარებაში;
- აგროდაზღვევის მექანიზმის, მისი სუბიექტებისა და ობიექტების, ასევე აგროდაზღვევის უცხოური გამოცდილების გაანალიზება;

- საქართველოს აგროდაზღვევის ბაზარზე არსებული სიტუაციის შესწავლა, აგროდაზღვევის სახელმწიფო პროგრამის შედეგების ანალიზი, ბაზარზე არსებული პრობლემების გამოვლენა და აგროდაზღვევის განვითარებისთვის წინადადებებისა და რეკომენდაციების შემუშავება.

**კვლევის საგანი და ობიექტი.** კვლევის საგანია საქართველოს აგროდაზღვევის ბაზრი, ხოლო კვლევის ობიექტი-სადაზღვევო კომპანიები საქართველოს აგროდაზღვევის ბაზარზე, აგროდაზღვევის სახელმწიფო პროგრამა და მისი შედეგები.

**კვლევის მეთოდოლოგია და მეთოდები.** ნაშრომის თეორიულ-მეთოდოლოგიურ საფუძველს ქართველი და უცხოელი მეცნიერ-ეკონომისტების მიერ აგროდაზღვევის სისტემის აქტუალურ პრობლემებზე შესრულებული შრომები და სხვადასხვა სახის გამოკვლევები წარმოადგენს. ნაშრომში გამოყენებულია ასევე საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის, სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სააგენტოს, საქართველოს სადაზღვევო კომპანიათა ასოციაციის, დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის ინფორმაცია და მონაცემები, საქართველოს მთავრობის დადგენილება „აგროდაზღვევის პროგრამის“ დამტკიცების შესახებ, აგრეთვე ოფიციალური ვებ-გვერდების მასალები.

**კვლევის ძირითადი შედეგები.** კვლევის ძირითადი შედეგები შეიძლება ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

- შესწავლილია აგროდაზღვევის არსი და მისი ფუნქციები, დასაბუთებულია აგროდაზღვევის განვითარების მნიშვნელობა საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარებისთვის;
- გაანალიზებულია სახელმწიფოს როლი და მნიშვნელობა ქვეყანაში აგროდაზღვევის ბაზრის განვითარებისთვის;
- გამოკვლეულია საქართველოს აგროდაზღვევის ბაზარზე არსებული სიტუაცია, გაანალიზებულია აგროდაზღვევის სფეროში გატარებული რეფორმების შედეგები და შედარებულია რეფორმამდელ მდგომარეობასთან;

- საქართველოს აგროდაზღვევის ბაზრის თანამედროვე მდგომარეობის შესწავლის საფუძველზე გამოვლენილია ბაზარზე არსებული პრობლემები და უცხოურ გამოცდილებაზე დაყრდნობით შემუშავებულია წინადადებები მათი მოგვარებისა და ბაზრის სრულყოფისთვის.

**ნაშრომის მოცულობა და სტრუქტურა.** ნაშრომი მოიცავს 70 გვერდს. იგი შედგება შესავლის, სამი თავისა და ექვსი ქვესაკითხისაგან. მას თან ერთვის გამოყენებული ლიტერატურის სია, დასკვნები და რეკომენდაციები და დანართი.

# თავი პირველი. აგროდაზღვევის არსი, მისი მნიშვნელობა და თავისებურებები

## 1.1. აგროდაზღვევის არსი, მისი ფუნქციები და თავისებურებები

სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის განხორციელებას გამუდმებით საფრთხეს უქმნის ისეთი რისკები, როგორებიცაა: სტიქიური ბუნებრივი მოვლენები, მავნებლები და პარაზიტები, ცხოველთა ეპიდემიური დაავადებები, უბედური შემთხვევები, ფასების ხშირი რყევა ბაზარზე და სხვა. ჩამოთვლილი რისკების მესამე მხარისათვის გადაცემის საუკეთესო საშუალებას დაზღვევა წარმოადგენს.

აგროდაზღვევა დაზღვევის კომპლექსური და საკმაოდ სპეციალიზებული სახეა, რომელიც მოიცავს მცენარეული კულტურების (როგორც ერთწლიანი, ასევე მრავალწლიანი კულტურები (ხეხილის ჩათვლით)), ტყეების, სათბურების, პირუტყვისა და აკვაკულტურის დაზღვევას. მისი უმთავრესი მიზანია მოახდინოს ფერმერთა შემოსავლის სტაბილიზაცია მათთვის ფინანსური ზარალის ანაზღაურების გზით იმ შემთხვევაში, თუკი დაზღვეული მოვლენა გახდა შემოსავლის ან მოსავლის დანაკარგის მიზეზი, რათა ფერმერთა აქტივობები გრძელდებოდეს უწყვეტად, წლების განმავლობაში (თ. ვერულავა, ნ. ოზგაიძე 2015).

აგროდაზღვევის მთავარი ფუნქციებია:

**1. ფერმერთა შემოსავლის სტაბილიზაცია**-იგი საშუალებას აძლევს ფერმერს თავიდან აიცილოს ან მინიმუმამდე შეამციროს დაზღვეული რისკით გამოწვეული ფინანსური დანაკარგები, დაიბრუნოს ის თანხა მაინც, რაც ნარგავების დათესვასა და მოვლაზე, პირუტყვის გაზრდასა და გამოკვებაზე დახარჯა და მძიმე ან/და მოუსავლიანი პერიოდის მიუხედავად კვლავაც გააგრძელოს საქმიანობა უწყვეტად, წლების განმავლობაში;

**2. საკრედიტო რესურსებზე ხელმისაწვდომობის ზრდა**-აღებული სესხის შემთხვევაში სადაზღვევო ანაზღაურება პირველ რიგში კრედიტის გადაუხდელი ნაწილის დაფარვას ხმარდება, რაც ფერმერებს საშუალებას აძლევს მძიმე წლის შემდეგაც კი შეინარჩუნონ



დადებითი საკრედიტო ისტორია. ხელმისაწვდომობა აგროსესხებზე სტიმულს აძლევს ფერმერებს გაზარდონ ფერმის ზომები, დანერგონ ფერმაში უახლესი ტექნოლოგიური მიღწევები, რაც როგორც მოსავლიანობის, ასევე წარმოებული პროდუქციის ხარისხის ამაღლებას უწყობს ხელს;

**3. ფერმერული რისკების მართვის გაუმჯობესება**-სადაზღვევო კომპანია, რომელიც დაინტერესებულია რაც შეიძლება ნაკლები სადაზღვევო შემთხვევა, ანუ პოტენციური ზარალი ჰქონდეს, მოსთხოვს ფერმერს გამოიყენოს თანამედროვე და ყველაზე გამართლებული ტექნოლოგიები (დათესოს ყინვაგამძლე მცენარეთა ჯიშები, ფერმაში დაიცვას უსაფრთხოების და სანიტარული მოთხოვნები და სხვ.), რომლებიც მაქსიმალურად შეამცირებენ დანაკარგების რისკს.

**4. აგროდაზღვევა არის ქვეყანაში სოციალური და სასურსათო უსაფრთხოების კომპონენტი**-იგი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ადგილობრივად წარმოებას უწყობს ხელს და სტიმულს აძლევს სოფლად მცხოვრებ მოსახლეობას აწარმოოს პროდუქცია არა მხოლოდ საკუთარი საჭიროებისთვის, არამედ გაზარდონ მოსავლიანობა და ჭარბი პროდუქტი გამოიყენონ კომერციული მიზნებისთვის, რაც, თავის მხრივ, ამცირებს ქვეყნის დამოკიდებულებას აგროსასურსათო საქონლის იმპორტზე (თ. ვერულავა, ნ. ოზგაიძე 2015).

იმისათვის, რომ აგრარული რისკების დაზღვევა განხორციელდეს, აუცილებლად უნდა სრულდებოდეს შემდეგი პირობები: შესაძლებელი უნდა იყოს ასიმეტრიული ინფორმაციის, არახელსაყრელი შერჩევისა და მორალური რისკის პრობლემების შერბილება ან თავიდან აცილება; ზიანი უნდა იყოს შეფასებადი, ხოლო მისი ალბათობა-გაზომვადი; შესაძლებელი უნდა იყოს რისკის გადანაწილება (აგრარულ სფეროში ეს პრობლემა განსაკუთრებით ეხება სტიქიურ მოვლენებს და ეპიდემიურ დაავადებებს); სადაზღვევო პრემია კი უნდა იყოს ფერმერთათვის ხელმისაწვდომი (M. Bielza, C. Conte et al. 2008).

აგროდაზღვევის პროდუქტების შემუშავებისას აუცილებელია სოფლის მეურნეობის თითოეული მიმართულებისა და ქვედარგისთვის დამახასიათებელი თავისებურების გათვალისწინება. (მაგალითად, განსხვავებულია რისკები იმის მიხედვით, ბოსტნეულის

მოყვანა სათბურში ხდება თუ ღია ცის ქვეშ, ერთმანეთისაგან სრულიად განსხვავებული რისკები მოქმედებს მეფრინველეობისა და მეთევზეობის დარგებზე და ა.შ.). გასათვალისწინებელია ისეთი რისკებიც, როგორებიცაა: ფასების რყევა, ხანძარი, უბედური შემთხვევები, ქურდობა, მესამე პირთა ბოროტგანზრახული ქმედებები და სხვა (ი. ახალბედაშვილი 2011).

მსოფლიოში აგროდაზღვევის ყველაზე გავრცელებული სქემებია:

- **ერთი რისკის დაზღვევა**-მოიცავს ერთი საფრთხის ან რისკის დაზღვევას (მაგალითად, სეტყვა); ორი საფრთხის ან რისკის დაზღვევას, რომელთაგან ერთი არასისტემურ ხასიათს ატარებს (მაგალითად, სეტყვა და ხანძარი).
- **კომბინირებული დაზღვევა**-ერთდროულად ფარავს ორ ან მეტ რისკს.
- **მოსავლის დაზღვევა**-იცავს ფერმერს მოსავლიანობაზე მოქმედი ძირითადი რისკებისგან. მცენარეული კულტურების შემთხვევაში ეს შეიძლება იყოს მაგალითად სეტყვა, გვალვა, ქარიშხალი და ა.შ. ზოგიერთ ქვეყანაში, მაგალითად აშშ-ში, დაზღვევის ამ ფორმას მრავალი საფრთხისგან (multi-peril) დაზღვევას უწოდებენ.
- **ფასების დაზღვევა**-იცავს დაზღვეულ პროდუქტს ფასების გარკვეულ ზღურბლს ქვემოთ დაცემისგან.
- **შემოსავლის დაზღვევა**-დაზღვევის ეს ფორმა აერთიანებს მოსავლიანობის (პროდუქტიულობის) და ფასების შემცირების რისკებს ერთ სადაზღვევო პროდუქტში. იგი შესაძლოა ეხებოდეს მთლიან მეურნეობას (ფერმას) ან მხოლოდ მის ცალკეულ ნაწილს თუკი ფერმერი სხვადასხვა სახის პროდუქტის წარმოებითაა დაკავებული.
- **მთელი ფერმის დაზღვევა**-აღნიშნული ფორმა გამოიყენება იმ შემთხვევაში, თუკი ფერმერი სხვადასხვა სახის პროდუქტის წარმოებითაა დაკავებული. დაზღვევა მოიცავს ფერმაში წარმოებულ ყველა სახის პროდუქტს ან ფერმის მიერ გამომუშავებულ მთლიან შემოსავალს.

- **მოგების დაზღვევა**-ითვალისწინებს როგორც შემოსავლის შემცირების რისკს, ასევე წარმოების დანახარჯებსაც. როგორც წესი, ამ ტიპის დაზღვევა მოიცავს მთელი მეურნეობის მიერ მიღებულ მოგებას და არ ეხება მოგებას მხოლოდ ერთი კონკრეტული პროდუქტის მიხედვით.
- **ინდექსირებული დაზღვევა**-დაფუძნებულია სამთავრობო სააგენტოს ან სხვა მესამე მხარის მიერ ცალკეული რეგიონისთვის გაანგარიშებული და მინიჭებული ინდექსებისა და საფასო შკალის შეთანწყობაზე. მისი სახეებია: **1). ტერიტორიისა და მოსავლიანობის კომბინირებული დაზღვევა**, რომლის დროსაც სადაზღვევო ანაზღაურების გაცემა დაკავშირებულია იმ კონკრეტულ რეგიონში საშუალო მოსავლიანობის შემცირებასთან, სადაც ფერმა მდებარეობს; **2). ტერიტორიისა და შემოსავლის კომბინირებული დაზღვევა**, რომელიც სადაზღვევო ანაზღაურების გადახდას მოცემულ რეგიონში შემოსავლის გარკვეულ ზღვარს ქვემოთ ჩამოსვლის შემთხვევაში ითვალისწინებს. **3). არაპირდაპირი ინდექსირებული დაზღვევა**-ამ დროს მოსავლიანობის ან ვეგეტაციური ინდექსები გაანგარიშებულია კლიმატურ ინდექსებზე, სატელიტურ სურათებზე და ა.შ. დაყრდნობით. ინდექსირებული დაზღვევის გამოყენებას რამდენიმე უპირატესობა აქვს, მაგალითად გაანგარიშებული ინდექსები უდავოა და დაზღვეულის მხრიდან რაიმე სახის პრეტენზიას გამორიცხავს, გარდა ამისა, დაზღვევის ეს ფორმა გამორიცხავს მორალური რისკის საფრთხეს, რის გამოც, სხვა ტრადიციული ფორმებისგან განსხვავებით, ფრანშიზას დაწესებას არ საჭიროებს. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ინდექსების გაანგარიშება შეიძლება საკმაოდ რთული აღმოჩნდეს, რადგან საჭიროა სატელიტური სურათები, ჰიდრომეტეოროლოგიური ჩანაწერები და სხვა.
- **ცხოველების დაზღვევა**-დაზღვევა უმეტესწილად ითვალისწინებს ცხოველის სიკვდილს ან/და დაკვლის აუცილებლობას უბედური შემთხვევის ან ავადმყოფობის გამო (M. Bielza, C. Conte et al. 2008).

ზარალის ანაზღაურების მეთოდის მიხედვით განასხვავებენ აგროდაზღვევის

შემდეგ სახეებს:

- I. სადაზღვევო ანაზღაურება განისაზღვრება მიყენებული ზარალის შესაბამისად-ამ დროს სადაზღვევო შემთხვევის დადგომის შემდეგ ტარდება სადაზღვევო ექსპერტიზა (შეფასება), რათა დადგინდეს ზარალის გამომწვევი მიზეზი, შეფასდეს მიყენებული ზიანის ოდენობა და განისაზღვროს გადასახდელი კომპენსაციის სიდიდე. ანაზღაურება ამ ფორმით ითვალისწინებს ფრანშიზას გამოყენებასაც;
- II. სადაზღვევო ანაზღაურება განისაზღვრება მიღებული შემოსავლის მიხედვით-აღნიშნულ შემთხვევაში სადაზღვევო ანაზღაურების გაცემა დაკავშირებულია შემოსავლის გარკვეულ ზღურბლს ქვემოთ დაცემასთან;
- III. სადაზღვევო ანაზღაურება განისაზღვრება სპეციალური ინდექსების საფუძველზე-როგორც უკვე ითქვა, ინდექსირებული დაზღვევა ცალკეული რეგიონისთვის გაანგარიშებული და მინიჭებული ინდექსებისა და საფასო შკალის შეთანწყობაზეა დაფუძნებული. სადაზღვევო პერიოდის განმავლობაში აღნიშნული ინდექსებიდან გადახრა განსაზღვრავს სადაზღვევო პოლისის მფლობელის მიერ განცდილ ზარალს. იანგარიშება მოსავლიანობის, კლიმატური, ცხოველთა სიკვდილიანობის, ტყის ხანძრის და სხვა სახის ინდექსები.<sup>1</sup>

**აგროდაზღვევის მოდელები.** მსოფლიოში გავრცელებულია აგროდაზღვევის სამი მოდელი, რომლებიც ერთმანეთისგან განსხვავდებიან სადაზღვევო სისტემაში სახელმწიფოს მონაწილეობის ხარისხით. განვიხილოთ თითოეული მათგანი:

1. **სახელმწიფოს მიერ კონტროლირებადი მოდელი-**ამ მოდელში მთავარი მამოძრავებელი ძალა არის სახელმწიფო. ხასიათდება სახელმწიფოს მხრიდან ძლიერი მხარდაჭერით და კარგად დივერსიფიცირებული სადაზღვევო პორტფელით. სადაზღვევო სექტორში მაღალია აგროდაზღვევის წილი. ასეთ სისტემაში ერთიანი, უნიფიცირებული სადაზღვევო პროდუქტის არსებობის მიზნით პროდუქტს ბაზარს სთავაზობს მონოპოლიური მდგომარეობის მქონე სახელმწიფო სადაზღვევო კომპანია. სისტემის ნაკლოვანებას წარმოადგენს მაღალი ფისკალური დანახარჯები და პროდუქტის

<sup>1</sup> წყარო: Agricultural insurance: products and schemes. Atlas Magazine, 14.06.2017. Retrieved 12.03.2020, from <https://www.atlas-mag.net/en/article/agricultural-insurance-products-and-schemes>

მიმწოდებელი კომპანიის მონოპოლიური მდგომარეობის გამო მომსახურების ხარისხის გაუარესების მაღალი რისკი.

**2. სახელმწიფოსა და კერძო სექტორის თანამშრომლობაზე დაფუძნებული მოდელი-** აღნიშნული მოდელისთვის დამახასიათებელია სადაზღვევო მომსახურების გაწევისას კონკურენციის მაღალი დონე და დივერსიფიცირებული სადაზღვევო პორტფელი. სადაზღვევო სექტორში საკმაოდ დიდია აგროდაზღვევის წილი. კერძო სადაზღვევო სექტორი ორიენტირებულია ახალი ცოდნისა და ტექნოლოგიების შექმნაზე, ხოლო სახელმწიფო მხარს უჭერს და სისტემის სტაბილურობას უზრუნველყოფს. ზომიერების ფარგლებშია ფისკალური დანახარჯები.

**3. კერძო სექტორის მიერ კონტროლირებადი მოდელი-**ეს არის წმინდა საბაზრო სისტემა, სადაც დომინირებს მზღვეველთა კომერციული ინტერესები, დაბალია სადაზღვევო სექტორში აგროდაზღვევის წილი და რისკების დივერსიფიკაციის დონე. სისტემის ფუნქციონირებაში სახელმწიფო არ ერევა. ასეთ დროს ქვეყანაში აგროდაზღვევის განვითარების დონე დამოკიდებულია მზღვეველთა ინტერესებზე იმუშაონ აღნიშნული მიმართულებით და სახელმწიფო აგრარულ პოლიტიკაზე (V. Čolović, N. Petrović 2014).

განხილული მოდელებიდან აშკარად ჩანს, რომ აგრარული სფეროს მაღალი რისკიანობიდან გამომდინარე, აგროდაზღვევის წილი მთლიან სადაზღვევო სექტორში მაღალია იმ შემთხვევაში, როდესაც დარგს აქტიურად უჭერს მხარს სახელმწიფო.

ეკონომიკაში ცნობილი ფაქტია, რომ როდესაც სახელმწიფო ახდენს რომელიმე დარგის ან სფეროს სუბსიდირებას, იზრდება იმის ალბათობა, რომ ეს დარგი მიეჩვევა სუბსიდირებაზე დამოკიდებულებას და სათანადოდ ვერ განვითარდება. ამიტომაც, მნიშვნელოვანია გამოვყოთ ის რამდენიმე ძირითადი მიზეზი, რომელიც ამართლებს და საჭიროს ხდის აგროდაზღვევის სისტემაში სახელმწიფოს მონაწილეობას:

**1. სისტემური რისკები-**ბუნებრივი კატასტროფები და ცხოველთა გადამდები, ეპიდემიური დაავადებები, მათი სისტემური ხასიათიდან გამომდინარე, კერძო სადაზღვევო კომპანიებისთვის განსაკუთრებულ პრობლემას წარმოადგენს, რადგან თუ გადაზღვევა ან სახელმწიფო გარანტიები არ არის ხელმისაწვდომი, სისტემური რისკების

ბუნება იძულებულს ხდის სადაზღვევო კომპანიას ძალიან მაღალი პრემია დააწესოს, რის გამოც დაზღვევის პროდუქტი მრავალი ფერმერისთვის მიუწვდომელი ხდება.

**2. ასიმეტრიული ინფორმაციის პრობლემა**-ინფორმაციის შეგროვება და თავმოყრა ამა თუ იმ რეგიონისა თუ ტერიტორიის მიხედვით სხვადასხვა კულტურული მცენარის მოსავლიანობის, ასევე რეგიონებისა და წლების მიხედვით სხვადასხვა კლიმატური მოვლენისა თუ ეპიდემიური დაავადებების მოხდენის სიხშირის შესახებ, საკმაოდ დიდ თანხებთან არის დაკავშირებული, თუმცა მათი არსებობა აუცილებელია სადაზღვევო კომპანიებისთვის მოსალოდნელი ზარალისა და რისკების უფრო ზუსტად შეფასებასა და სადაზღვევო პრემიის გამომანგარიშებაში.

**3. რისკების მართვის გაუმჯობესება**-სახელმწიფოს შეუძლია ხელი შეუწყოს ქვეყანაში აგრორისკების მართვის გაუმჯობესებას სტიქიური მოვლენებისა და კატასტროფისთვის მზადყოფნისა და რეაგირების სისტემების შექმნით, ასევე შესაბამისი კანონმდებლობის მიღებით. სახელმწიფოს როლი და მნიშვნელობა მდგომარეობს ასევე ფერმერთა გადამზადებაში, მათი ცოდნის დონის ამაღლებაში სანიმუშო სასოფლო-სამეურნეო პრაქტიკის შესახებ, თანამედროვე ტექნოლოგიური მიღწევების ხელმისაწვდომობის ზრდაში და სხვა.

**4. ბაზრის არასრულყოფილება**-სხვადასხვა ფაქტორთა გავლენით ზოგჯერ აგროდაზღვევის პროდუქტების მიწოდება ან/და მათზე მოთხოვნა მაღალი არ არის. დარგის მაღალრისკიანობა და ზარალების სიხშირე სადაზღვევო კომპანიებისთვის აგროდაზღვევის პროდუქტების მიწოდების სტიმულს ამცირებს ან იძულებულს ხდის დააწესონ მაღალი პრემია, რის გამოც სადაზღვევო პოლისის შეძენა ფერმერებს არ შეუძლიათ ან მათთვის ნაკლებად მიმზიდველი ხდება. ასეთ შემთხვევებში სახელმწიფო ხშირად ახდენს სადაზღვევო პრემიების სუბსიდირებას და ზარალის გარკვეული ნაწილის ანაზღაურებას საკუთარ თავზე იღებს.

**5. დაბალი სადაზღვევო კულტურა**-აგროდაზღვევაზე მოთხოვნის ნაკლებობის განმაპირობებელი კიდევ ერთი ფაქტორი შეიძლება იყოს ქვეყანაში სადაზღვევო კულტურის დაბალი დონე, როდესაც ფერმერები ვერ ერკვევიან კარგად პროდუქტის

საჭიროებაში და აგროდაზღვევის პოლისის შექმნა დამატებით ხარჯად ეჩვენებათ. ასეთ შემთხვევაში სახელმწიფოს როლი სადაზღვევო კულტურისა და ფერმერთა ცოდნის დონის ამაღლების ხელშეწყობაში გამოიხატება.

**6. შეზღუდული წვდომა საერთაშორისო გადაზღვევის ბაზრებზე**-სახელმწიფო ხშირად უზრუნველყოფს სადაზღვევო კომპანიებისთვის გადაზღვევაზე ხელმისაწვდომობას, რითაც კომპანიებს სისტემური რისკებით გამოწვეული მასშტაბური დანაკარგებისგან იცავს და აგროდაზღვევის პროდუქტების გაყიდვის სტიმულს ამაღლებს.

**7. საკანონმდებლო რეგულირება**-ამ დროს ბაზარზე სახელმწიფოს ჩარევა მიზნად ისახავს საკანონმდებლო და მარეგულირებელი ჩარჩოს შექმნას (O. Mahul, J.C. Stutley 2010).

**8. შემოსავლის არათანაბარი განაწილება**-აგროდაზღვევის სექტორში სახელმწიფოს ჩარევა ზოგიერთ შემთხვევაში მიზნად ისახავს ღარიბი, დაბალშემოსავლიანი ან ქალი ფერმერების მხარდაჭერას და აგროდაზღვევის პროდუქტებზე მათი ხელმისაწვდომობის გაზრდას (P. Hazell, R. Sberro-Kessler et al. 2017).

მოცემული საკითხები ცხადყოფს სახელმწიფოს ჩარევისა და მხარდაჭერის მნიშვნელობას როგორც საკანონმდებლო, ასევე ფისკალურ დონეზე აგრარული სექტორის დაზღვევის განვითარებაში, თუმცა აუცილებელია ზომიერების დაცვა, რადგან არაგონივრული გადახდები და სუბსიდიები აზარალებს როგორც სახელმწიფო ბიუჯეტს, ასევე ხელს უშლის კერძო სადაზღვევო ბაზრის განვითარებას.

## 1.2. აგროდაზღვევის მნიშვნელობა საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარებაში

ისტორიულად საქართველო აგრარულ ქვეყანას წარმოადგენს და საკმაოდ დიდი და მდიდარი ტრადიციების მქონე სოფლის მეურნეობა გვაქვს. ქართველი გლეხები საუკუნეებია მიწათმოქმედებას მისდევენ, ხოლო ჩვენი ქვეყანა უძველესი დროიდან მოყოლებული ვაზისა და ღვინის სამშობლოდ ითვლება.

საქართველოსთვის სოფლის მეურნეობის განვითარება უაღრესად მნიშვნელოვანია დარგის სოციალური და ეკონომიკური ღირებულებიდან გამომდინარე, ასევე სასურსათო უსაფრთხოების თვალსაზრისით. 2020 წელს მსოფლიოში გავრცელებულმა კორონავირუსმა და ქვეყნებს შორის საზღვრების ჩაკეტვამ კიდევ ერთხელ დაადასტურა, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია ქვეყნის შიგნით აგროსასურსათო პროდუქციის წარმოების გაზრდა. გარდა ამისა, საქართველოს დიდი პოტენციალი გააჩნია აგროტურიზმის განვითარების თვალსაზრისითაც.

თუმცა, მიუხედავად რესურსული პოტენციალისა, ჩვენი ქვეყნის აგრარული სექტორი არც თუ ისე სახარბიელო მდგომარეობაშია, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის უდიდესი ნაწილი მცირე მეურნეობათა ხელშია, რომელთათვისაც სოფლის მეურნეობა მხოლოდ და მხოლოდ თავის რჩენის საშუალებაა და არა ბიზნესი.

2014 წელს ჩატარებული საქართველოს სასოფლო-სამეურნეო აღწერის მონაცემების მიხედვით, აღწერილი მეურნეობების 77%-ს, ანუ 442 540 პირს, მფლობელობაში აქვს მიწის ნაკვეთი, რომლის ფართობი 1 ჰექტარზე ნაკლებია. აქედან 86 988 პირის მფლობელობაში არსებული მიწის ნაკვეთი კი 0,1 ჰექტარსაც ვერ აღწევს. მიწის ასეთი მცირე ფართობი ფერმერებს არ აძლევს მასშტაბის ეფექტით სარგებლობისა და თანამედროვე ტექნოლოგიური მიღწევების გამოყენების შესაძლებლობას.

2018 წლის მონაცემებით, თვითუზრუნველყოფის კოეფიციენტი მაღალია და ქვეყნისთვის საკმარისი რაოდენობით იწარმოება კარტოფილი (102%), ყურძენი (152%), ცხვრისა და თხის ხორცი (294%), ასევე კვერცხი (99%), ზოგიერთ პროდუქტზე კი



მაგალითად ხორბალზე (15%), ფრინველისა (34%) და ღორის ხორცზე (45%) თვითუზრუნველყოფის კოეფიციენტი ძალიან დაბალია და ქვეყანა იმპორტზეა დამოკიდებული, რაც სასურსათო უსაფრთხოების თვალსაზრისით არასახარბიელო მდგომარეობას ქმნის (იხ: დანართი №1).

2018 წლის წინასწარი მონაცემების მიხედვით, ჩვენი ქვეყნიდან ექსპორტირებული აგროსასურსათო პროდუქციის ღირებულებამ 959 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, ხოლო იმპორტირებულის ღირებულებამ-1,353 მილიარდი აშშ დოლარი. წარმოდგენილი მონაცემებიდან ჩანს, რომ აგროსასურსათო სექტორში იმპორტი 41%-ით აღემატება ექსპორტს. ამასთან, 2017 წელთან შედარებით აგროსასურსათო პროდუქციის ექსპორტი 23%-ით, ხოლო იმპორტი 15%-ითაა გაზრდილი.<sup>2</sup>

დარგის ჩამორჩენაზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ 2018 წელს სოფლის მეურნეობის წილმა ქვეყნის მთლიან შიდა პროდუქტში მხოლოდ 7,8% შეადგინა, ეს კი მაშინ, როდესაც სოფლის მეურნეობაში დასაქმებულთა წილი მთლიანი დასაქმების 39% იყო.<sup>3</sup> რომ შევადაროთ, ევროკავშირის ქვეყნებში სოფლის მეურნეობაში საშუალოდ მოსახლეობის 5%-ია დასაქმებული, აშშ-ში კი-1,6%. ამასთან, ერთი ფერმერული მეურნეობა ევროკავშირში სურსათით უზრუნველყოფს საშუალოდ 51 ადამიანს, აშშ-ში-126 ადამიანს, ჩვენთან კი თავის რჩენასაც ძლივს ახერხებს (თ. ვერულავა, ნ. ოზგაიძე 2015).

აგრარულ სექტორში დაბალი პროდუქტიულობა ფერმერული მეურნეობების მცირე ზომით, ინფრასტრუქტურული პრობლემებით, ფერმერთა შეზღუდული ცოდნითა და რისკ-მენეჯმენტის დაბალი დონითაა გამოწვეული (ე. შატბერაშვილი, ბ. ალასანია 2011). ასევე აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ სასოფლო-სამეურნეო ტექნოლოგიების განვითარების დონით საქართველო მნიშვნელოვნად ჩამორჩება განვითარებულ ქვეყნებს. მაგალითად, ჩვენს ქვეყანაში მარცვლეულის საშუალო მოსავლიანობა ერთ ჰექტარზე 2,1

<sup>2</sup> წყარო: საქართველოს აგროსასურსათო პროდუქციის ექსპორტ-იმპორტი. საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო, 2019.

<sup>3</sup> წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური.

ტონას, ავსტრიაში ანალოგიური მაჩვენებელი 6,5 ტონას, გერმანიასა და დიდ ბრიტანეთში-7,4 ტონას, ირლანდიაში-8,5 ტონას, ნიდერლანდებში კი 8,6 ტონას შეადგენს.<sup>4</sup>

უნდა აღინიშნოს, რომ ზემოთ ჩამოთვლილი პრობლემების მოგვარება და სოფლის მეურნეობის განვითარება შეუძლებელია აგროდაზღვევის განვითარების გარეშე. აგროდაზღვევა, მისი ფუნქციებიდან გამომდინარე, ფერმერის ფინანსური სტაბილურობის გარანტს წარმოადგენს. იგი არა მხოლოდ იცავს ფერმერთა მოსავალსა თუ შემოსავალს სხვადასხვა რისკებისგან და ზოგადად აუმჯობესებს ფერმერული რისკების მართვას, არამედ ზრდის აგროკრედიტებზე მათ ხელმისაწვდომობას, ხელს უწყობს წარმოების მოცულობისა და წარმოებული კულტურების მრავალფეროვნების ზრდას, რაც ამცირებს ქვეყნის იმპორტზე დამოკიდებულებას და ექსპორტს ასტიმულირებს, ეს კი, საერთო ჯამში, ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებასა და სოფლად მცხოვრები მოსახლეობის კეთილდღეობაზე დადებითად აისახება.

აგროდაზღვევის აუცილებლობაზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ ბოლო პერიოდში, კლიმატის გლობალური ცვლილების ფონზე, განსაკუთრებით გახშირდა ბუნებრივი კატასტროფები, ასევე ფიქსირდება პარაზიტების, მავნებლებისა და ინფექციური დაავადებების რიცხვის ზრდა (ი. კაცია, ს. დეისაძე 2020). უკანასკნელ წლებში სტიქიური მოვლენების შედეგად არაერთხელ დაზიანდა სასოფლო-სამეურნეო სავარგულები, განადგურდა მოსავალი. იმატა ასევე პირუტყვის დაცემის შემთხვევებმაც (იხ: დანართი №3). ისეთი ჰიდრომეტეოროლოგიური მოვლენების შედეგად გამოწვეულმა ზარალმა, როგორებიცაა გვალვა, სეტყვა, თოვლის ზვავები, წყალდიდობა და ქარიშხალი, 1995-2017 წლებში 18 მილიარდ ლარს გადააჭარბა. ბოლო პერიოდში ზარალიანობით გამოირჩეოდა 2012-2015 წლები (ჯამში 566,8 მლნ ლარის ზარალი).<sup>5</sup> სოფლის მეურნეობის სამინისტროს ინფორმაციის მიხედვით, მხოლოდ 2014 წელს სტიქიური მოვლენების შედეგად (სეტყვა, წვიმა, ქარიშხალი, გვალვა და ა.შ.) დაზარალდა დაახლოებით 108 360 ადამიანი, დაზიანდა

<sup>4</sup> წყარო: <https://data.worldbank.org/indicator/AG.YLD.CREL.KG> (დაანგარიშებულია 2013-2017 წლების საშუალო მაჩვენებელი).

<sup>5</sup> წყარო: 2014-2017 წლების გარემოს მდგომარეობის შესახებ ეროვნული მოხსენება. საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო, 2019.

107 043 ჰექტარი მიწის ნაკვეთი, ხოლო მიყენებულმა ზარალმა ჯამში 136 236 343 ლარი შეადგინა. აქედან, მარცვლეული კულტურების დაზიანებული ფართობი მოიცავს 63 695 ჰა-ს, ლობიო - 384 ჰა-ს, მზესუმზირა - 9 516 ჰა-ს, ბაღჩეული კულტურები - 1 708 ჰა-ს, კარტოფილი - 3 194 ჰა-ს, თხილი - 15 898 ჰა-ს, კაკლოვნები - 79 ჰა-ს, ხეხილი - 1 595 ჰა-ს, ვენახი - 10 957 ჰა-ს. ასევე განადგურდა 2 661 ფრთა ფრინველი და 95 ფუტკრის ოჯახი.

მიუხედავად იმისა, რომ სხვადასხვა სახის რისკი ამა თუ იმ ზომით მთელი აგრარული სექტორისთვისაა დამახასიათებელი, განსაკუთრებით უნდა გამოიყოს ის მიმართულებები, რომლებიც საქართველოს სოფლის მეურნეობისთვის ძირითად დარგებად ითვლება (ანუ გამოირჩევა როგორც ეკონომიკური მნიშვნელობით, ასევე დასაქმებულთა რიცხოვნობის მიხედვით) და ამასთან, განსაკუთრებით მოწყვლადნი არიან ძირითადი სასოფლო-სამეურნეო რისკების მიმართ. ასეთ დარგებს მიეკუთვნება მევენახეობა, მეხილეობა-მეციტრუსეობა, მეთხილეობა, მესიმინდეობა და მეხორბლეობა, ასევე მეცხოველეობა (მემროხეობა და მეცხვარეობა) (ი. ახალბედაშვილი 2011).

მემცენარეობის სექტორს ყველაზე დიდ საფრთხეს სტიქიური ბუნებრივი მოვლენები უქმნის, ასევე პარაზიტებისა და მავნებელ-დაავადებების გავრცელება. მეცხოველეობის სექტორში გავრცელებულ რისკებს წარმოადგენს მტაცებლის თავდასხმა, საქონლის დაკარგვა, მისი სიკვდილი ან დაკვლის აუცილებლობა უბედური შემთხვევის გამო. ცხოველის სიკვდილის მიზეზი ხშირად ხდება ეპიდემიური დაავადებები, მაგალითად, მესაქონლეობის სექტორში გავრცელებულია ისეთი ინფექციური დაავადებები, როგორებიცაა: ჯილეხი, თურქული, ბრუცელოზი და ტუბერკულოზი, ემკარი, პასტერელოზი, მეცხვარეობაში ხშირია ე.წ. ნაბარევი.

აგრარული სექტორის ფინანსური მდგრადობის უზრუნველყოფისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს სისტემური ხასიათის სტიქიურ მოვლენებთან (სეტყვა, წყალდიდობა, ღვარცოფი, გვალვა) და ეპიზოოტურ დაავადებებთან დაკავშირებული რისკების დაზღვევას, ასეთი რისკების დაზღვევის განვითარებაში კი უმნიშვნელოვანესი როლი სახელმწიფოს ენიჭება (ი. ახალბედაშვილი 2011).

## თავი მეორე. საქართველოს აგროდაზღვევის ბაზარი

### 2.1. აგროდაზღვევის ბაზარი საქართველოში 2014 წლამდე

საქართველოს სადაზღვევო კომპანიათა ასოციაციის მონაცემებით, სოფლის მეურნეობის დაზღვევა ჩვენს ქვეყანაში 20 წელზე მეტია არსებობს, თუმცა დაზღვევის ეს მიმართულება საქართველოში კვლავაც განუვითარებელია. აღნიშნული ვითარება გამოწვეულია ქვეყანაში არსებული სადაზღვევო კულტურისა და რისკ-მენეჯმენტის დაბალი დონით, სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის წარმართვასთან დაკავშირებით ფერმეთა შეზღუდული ცოდნით და სამეწარმეო უნარების არქონით, რისკების შეფასებისთვის არასრულყოფილი სტატისტიკური ინფორმაციითა და ფერმერული მეურნეობების მცირე ზომით (ი. ახალბედაშვილი 2011).

2014 წლამდე ამ ყველაფერს ემატებოდა ქვეყანაში საკანონმდებლო და კონტროლის მექანიზმის დეფიციტი, დაზღვევის არახელსაყრელი პირობები და სადაზღვევო პოლისის მაღალი ფასი. აგროდაზღვევას მოგებაზე ორიენტირებული სადაზღვევო კომპანიები არამიმზიდველ, ხოლო ფერმერები არასაჭირო პროდუქტად თვლიდნენ, რის გამოც ბაზარზე სახელმწიფოს ჩარევა და 2014 წლიდან აგროდაზღვევის სახელმწიფო პროგრამის ამოქმედება გახდა აუცილებელი, რითაც სახელმწიფომ სადაზღვევო პრემიის სუბსიდირების საფუძველზე ფერმერებს დაზღვევის მოტივაცია შეუქმნა.

როგორც უკვე აღინიშნა, საქართველოში 2014 წლამდე კერძო სადაზღვევო სისტემა მოქმედებდა, რომელიც აგრორისკებს სახელმწიფო სუბსიდიის გარეშე აზღვევდა. აგროდაზღვევის პროდუქტს ფერმერებს მხოლოდ რამდენიმე სადაზღვევო კომპანია სთავაზობდა („ჯი პი აი ჰოლდინგი“, „ალდაგი“, „იმედი L“, „არდი ჯგუფი“ და „სტანდარტ დაზღვევა საქართველო“), თუმცა სადაზღვევო კომპანიათა ასოციაციის ინფორმაციით, მზღვეველების პორტფელში აგროდაზღვევის წილი უმნიშვნელო, 1%-ზე ნაკლები, თავად პროდუქტები კი ძალიან ძვირი და დასახვეწი იყო. დაზღვევა ამ პერიოდში ძირითადად მევენახეობის დაზღვევის წარუმატებელ მცდელობებს მოიცავდა. დაზღვეული მიწის

ნაკვეთების 85-90%-მდე ყურძენი იყო დარგული, ხოლო დანარჩენ დაზღვეულ კულტურებს უმეტესად ხორბალი, სიმინდი და ხილი წარმოადგენდა. სადაზღვევო პოლისით ძირითადად შემდეგი რისკები იფარებოდა: სეტყვა, ქარიშხალი, ჭარბი ნალექი და ხანძარი (Iset Policy Institute 2015). მოგვიანებით ბაზარზე გამოჩნდა მეცხოველეობის დაზღვევის შეთავაზებაც. აგროდაზღვევის პროდუქტებით ძირითადად მსხვილი ფერმერები და ცნობილი ღვინის კომპანიები სარგებლობდნენ.

2014 წლამდე სადაზღვევო კომპანიების მიერ შეთავაზებული აგროდაზღვევის პროდუქტები შემდეგნაირად გამოიყურებოდა:

1. სადაზღვევო კომპანია „ჯი პი აი ჰოლდინგი“ 2014 წლამდე აზღვევდა როგორც მარცვლოვან კულტურებს, ვენახსა და ხეხილს, ისე პირუტყვსა და ფრინველს. მცენარეული კულტურები დაზღვეული იყო ისეთი რისკებისგან, როგორებიცაა სეტყვა, ყინვა, ძლიერი ქარი, წყალდიდობა, გვალვა, ძლიერი წვიმა და ხანძარი, ხოლო ცხოველები გარკვეული ავადმყოფობისგან და დაკვლის გამომწვევი სხვადასხვა უბედური შემთხვევებისგან.

კომპანიამ 2012 წელს დაზღვეულ ფერმერებს 480 000 ლარის ზარალი აუნაზღაურა. ზარალი ძირითადად სეტყვით, ძლიერი ქარითა და დატბორვით იყო გამოწვეული. 2013 წელს კი არასამთავრობო ორგანიზაცია „ელკანასთან“ ერთად „ოქსფამ დიდი ბრიტანეთის“ ფინანსური მხარდაჭერითა და „კრედიტებთან და დაზღვევასთან ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების“ პროგრამის ფარგლებში შეიმუშავა და ფერმერებს შესთავაზა საქონლის დაზღვევის ახალი პოლისი, რომელიც წელიწადში 30 ლარი ღირდა და აზღვევდა საქონლის გარდაცვალების რისკს უბედური შემთხვევის ან გარკვეული ავადმყოფობის შედეგად.<sup>6</sup>

2. სადაზღვევო კომპანია „ალდაგი“ ფერმერებს აგროდაზღვევას 1998 წლიდან სთავაზობს. 2012 წლამდე კომპანია აზღვევდა ხორბლის, სიმინდის, ვაზის, ასევე მეურნეობის სხვა კულტურების მოსავალს არა მხოლოდ ისეთი სტანდარტული რისკებისგან, როგორებიცაა სეტყვა, ყინვა, ძლიერი ქარი და ხანძარი, არამედ შემდეგ არასტანდარტულ რისკებსაც: მიწისძვრა, გვალვა, უხვთოვლიანობა, მიწის ჩამოშლა,

<sup>6</sup> წყარო: <https://www.gpih.ge/gpih/en/news/index.php?ID=304>

მტვრის ქარბუქი, კორიანტელი, კოკისპირული წვიმა, ზვავი და სხვა. „აღდაგში“ შესაძლებელი იყო ასევე ცხოველებისა და სათბურების დაზღვევაც. კომპანია რისკიანობის თვალსაზრისით რეგიონების დიფერენცირებას არ ახდენდა, თუმცა დაზღვეული რისკები პარტნიორი საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ იყო გადაზღვეული. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ კომპანიას მუდმივ შტატში აყვანილი ყავდა აგროექსპერტი, რომელიც ფერმერებს კონსულტაციას უწევდა.<sup>7</sup>

„აღდაგმა“ აგროდაზღვევის მიმართულებით ინტენსიური მუშაობა დაიწყო 2012 წლიდან, როდესაც „საქართველოს ბანკთან“ და აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) ეკონომიკური აღმავლობის ინიციატივასთან (EPI) ერთად აგროდაზღვევის განვითარების ახალ პროგრამაში ჩაერთო. პროექტი სამწლიანი იყო და აგროდაზღვევის განვითარებასთან ერთად ფერმერთათვის საკრედიტო რესურსებზე ხელმისაწვდომობის გაზრდას ისახავდა მიზნად. პროგრამის ფარგლებში სადაზღვევო პრემიის 90%-ს „საქართველოს ბანკი“ და USAID-ის ეკონომიკური აღმავლობის ინიციატივა ერთობლივად აფინანსებდნენ, დარჩენილ 10%-ს კი ფერმერი იხდიდა და ამგვარად სადაზღვევო პაკეტი სტანდარტულთან შედარებით სამჯერ ნაკლები უჯდებოდა. დაზღვეული იყო თხილი, მანდარინი, კარტოფილი, სტაფილო, ჭარხალი, ხახვი და ნიორი ბუნებრივი რისკებისგან. დაზღვევა ერთი აგროციკლის განმავლობაში მოქმედებდა და ფერმერთა კონსულტაციებსა და ტრენინგებსაც ითვალისწინებდა ზემოთ ჩამოთვლილი კულტურების მოყვანის საუკეთესო პრაქტიკასთან დაკავშირებით. პროგრამა ჯამში 1,2 მლნ აშშ დოლარის საკრედიტო რესურსების მობილიზებას ითვალისწინებდა სოფლის მეურნეობის სექტორში.<sup>8</sup>

2012-დან 2014 წლის დასაწყისამდე აგრომიმართულებით „აღდაგმა“ ჯამში 3 მილიონ ლარამდე ზარალი აანაზღაურა.<sup>9</sup>

<sup>7</sup> წყარო: <https://www.kvirispalitra.ge/economic/7653>

<sup>8</sup> წყარო: <https://ghn.ge/news/62591>

<sup>9</sup> წყარო: <http://liberali.ge/articles/view/3961>

3. სადაზღვევო კომპანია „სტანდარტ დაზღვევა საქართველო“ (დღევანდელი „პრაიმი“) აზღვევდა ხორბლის, სიმინდისა და კარტოფილის მოსავალს გაუთვალისწინებელი რისკებისგან (თ. ლუტიძე 2017).

4. სადაზღვევო კომპანია „იმედი L“ აზღვევდა ყველა იმ კულტურას, რომელიც საქართველოს კონკრეტულ რეგიონში მოდის და ტიპურია ამ რეგიონისთვის, თუმცა აქცენტს ძირითადად კახეთის რეგიონსა და მევენახეობის სექტორისგან დაზღვევაზე აკეთებდა.<sup>10</sup> უნდა აღინიშნოს, რომ 2012 წელს „ალდაგი“ „იმედი L“-ის აქციების 85%-ის მფლობელი გახდა და ამ პერიოდიდან მოყოლებული კომპანია ჯანმრთელობის დაზღვევის მიმართულებაზე აგრძელებს მუშაობას, სიცოცხლისა და ქონების დაზღვევის (მათ შორის აგროდაზღვევის) მიმართულებით კი „ალდაგი“ მუშაობს.<sup>11</sup> ამ პერიოდისთვის „იმედი L“-ს აგროდაზღვევის მიმართულებით მუშაობის 10 წელზე მეტი ხნის გამოცდილება ქონდა.

5. სადაზღვევო კომპანია „არდი ჯგუფი“ 2010 წელს დაარსდა და ამ პერიოდიდანვე შესთავაზა ბაზარს აგროდაზღვევის პროდუქტი. მოცემულ კომპანიაში ფერმერებს წელიწადის სხვადასხვა დროს შეეძლოთ დაეზღვიათ როგორც მარცვლოვანი კულტურები, ვაზი, ბოსტნეული, ციტრუსები, ბალჩეული და ნაჭუჭოვანი კულტურები, მრავალწლიანი ნარგავები და სასათბურე მეურნეობები, ასევე მსხვილი და წვრილფეხა ცხოველები და აკვაკულტურები. სადაზღვევო პოლისით იფარებოდა შემდეგი რისკები: მეტეოროლოგიური მოვლენები, სხვადასხვა მავნებლების, მღრღნელების, მწერების, სოკოვანი და ბაქტერიული დაავადებების გავრცელება, ცხოველებისა და ფრინველების დაღუპვა სხვადასხვა დაავადების, საკვებით მოწამვლის ან უბედური შემთხვევის გამო. დაზღვეული იყო ასევე მესამე პირის მხრიდან ბოროტგანზრახული ქმედებები და ვანდალიზმი. კომპანია არ ახდენდა რეგიონების დიფერენცირებას რისკიანობის თვალსაზრისით (თ. ლუტიძე 2017).

<sup>10</sup> წყარო: <http://www.insurance.org.ge/index.php?a=main&pid=178&lang=geo>

<sup>11</sup> წყარო: <https://www.imedil.ge/ge/media/91-sadazgvevo-kompania-aldagi-jandacvisa-da-konebrivi-riskebis-dazgvevis-mimartulebebis>

რაც შეეხება ფასებს, როგორც უკვე აღვნიშნეთ, აგროდაზღვევის პროდუქტები საკმაოდ ძვირი ღირდა, რაზეც წარმოდგენას გვიქმნის 2012 წლის იანვარში „ილიაუნის ბიზნეს რევიუ“-ს მიერ ჩატარებული სადაზღვევო ბაზრის კვლევა.<sup>12</sup> კვლევის ფარგლებში შეისწავლეს 13 სადაზღვევო კომპანია, რომელთაგან აგროდაზღვევის პროდუქტს ბაზარს სთავაზობდა მხოლოდ 4 (კვლევაში არ მონაწილეობდა სადაზღვევო კომპანია „სტანდარტ დაზღვევა საქართველო“).

კვლევის შედეგების მიხედვით, ყველაზე იაფ სადაზღვევო პაკეტს ფერმერებს სთავაზობდა სადაზღვევო კომპანია „ჯი პი აი ჰოლდინგი“, რომლის ფასი დასაზღვევი ქონების ღირებულების 6%-ს უდრიდა. მეორე ადგილი დაიკავა სადაზღვევო კომპანია „იმედი L“-მა 7%-ანი, ხოლო მესამე-სადაზღვევო კომპანია „არდი ჯგუფმა“-8%-ანი შეთავაზებით. როგორც აღმოჩნდა, ყველაზე მაღალფასიანი აგროდაზღვევის პროდუქტი ქონდა „ალდაგს“, რომელიც დასაზღვევი ქონების ღირებულების 8%-დან 10%-ის ფარგლებში მერყეობდა. თუ გავითვალისწინებთ, რომ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის რეალიზაციიდან მიღებული საშუალო თვიური შემოსავალი ერთ შინამეურნეობაზე 2011-2012 წლებში შესაბამისად 47.1 და 48.0 ლარს შეადგენდა,<sup>13</sup> ზემოთ ჩამოთვლილი ფასები ქართველი დაბალშემოსავლიანი ფერმერებისთვის საკმაოდ მაღალი უნდა ყოფილიყო.

პროდუქტის სიძვირისა და დაბალი სადაზღვევო კულტურის გამო სასოფლო-სამეურნეო დაზღვევით ფერმერთა ძალიან მცირე რაოდენობა სარგებლობდა, რაზეც წარმოდგენას 2014 წლამდე აგროდაზღვევის მიმართულებით მოზიდული პრემიების მოცულობა გვიქმნის (იხ: დანართი №4). 2010 წელს აგროდაზღვევის წილმა მთლიან სადაზღვევო სექტორში-0,02%, 2011 წელს-0,03%, 2012 წელს-0,02%, 2013 წელს კი 0,04% შეადგინა.<sup>14</sup> საქართველოს სადაზღვევო კომპანიათა ასოციაციის მონაცემებით, 2013 წელს ფერმერებთან მხოლოდ 2000 კონტრაქტი იყო გაფორმებული.

<sup>12</sup> წყარო: <https://netgazeti.ge/business/12988/>

<sup>13</sup> წყარო: საქართველოს სოფლის მეურნეობა 2015. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, თბ., 2016, გვ:19.

<sup>14</sup> დაანგარიშებულია ავტორის მიერ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის მონაცემებზე დაყრდნობით.



გაფორმებული სადაზღვევო ხელშეკრულებების სიმცირე სადაზღვევო კომპანიებს რისკის ჯეროვნად გადანაწილების შესაძლებლობას არ აძლევდა, რის გამოც ასანაზღაურებელი ზარალის თანაფარდობა მოზიდულ პრემიასთან 100%-ს აჭარბებდა (იხ: დანართი №4). 2010-2012 წლებში, კლიმატური მოვლენებით გამოწვეული შემთხვევების გამო, სადაზღვევო კომპანიებს აგროდაზღვევის პროდუქტებიდან მოგება არ მიუღიათ, მხოლოდ 2012 წელს კი, კახეთში მომხდარი სტიქიის შედეგად მიყენებული ზარალის ანაზღაურებისთვის, იმაზე დაახლოებით 10-ჯერ მეტი გადაიხადეს, ვიდრე პრემიის სახით იყო მოზიდული.

აგროდაზღვევის მიმართულებით დაზღვეულთა მცირე რაოდენობას ემატებოდა სოფლის მეურნეობის დარგის მაღალრისკიანობის გამო სადაზღვევო პოლისის მაღალი ფასი, რაც არახელსაყრელი შერჩევის პრობლემას კიდევ უფრო ამწვავებდა. სადაზღვევო პოლისს მხოლოდ მსხვილი, მაღალი რისკის მატარებელი ფერმერები იძენდნენ, რის შედეგადაც აგროდაზღვევა ბოლო პერიოდში სადაზღვევო კომპანიებისთვის არამიმზიდველ და წამგებიან პროდუქტს წარმოადგენდა.

ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, თუ რა როლი ენიჭება სახელმწიფოს აგროდაზღვევის ბაზრის განვითარებისა და სისტემის სტაბილურობის შენარჩუნებისთვის. ჩვენს ქვეყანაშიც, აგრარული სფეროს დაზღვევის განვითარება, არსებული სიტუაციიდან გამომდინარე, წარმოუდგენელი იყო სახელმწიფოს ჩარევისა და მხარდაჭერის გარეშე. აუცილებელი იყო აგროდაზღვევაზე კანონის მიღება, დაზღვეულთა რაოდენობისა და დაზღვეული ტერიტორიების რიცხვის ზრდა, რისკ-ფაქტორების არეალის გაფართოება და აგროდაზღვევის ბაზარზე სადაზღვევო კომპანიების მონაწილეობის გაზრდა, ასევე სადაზღვევო პრემიის ღირებულების შემცირება. აგროდაზღვევის პროდუქტი ფერმერთათვის უნდა ყოფილიყო მიმზიდველი და ხელმისაწვდომი. გარდა ამისა, სახელმწიფოს მნიშვნელობა დიდია სადაზღვევო კომპანიებისთვის აუცილებელი სტატისტიკური ინფორმაციის (რეგიონების მიხედვით მოსავლიანობის, მეტეოროლოგიური მოვლენების, მავნებელ-დაავადებათა გავრცელების, ფასების და ა.შ) შეგროვებისა და გავრცელების საქმეში. სახელმწიფოს აქვს შესაძლებლობა ჩაუტაროს

ფერმერებს ტრენინგები, შეიმუშავოს სხვადასხვა სახის საგანმანათლებლო ღონისძიებები ქვეყანაში სადაზღვევო კულტურის ამაღლებისა და რისკების მართვის გაუმჯობესების მიზნით. მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ მაღალრისკიანობიდან გამომდინარე, აგრორისკების დაზღვევა საკმაოდ ძვირადღირებული პროდუქტია, სახელმწიფოს კი ფერმერთა დაინტერესებისა და სადაზღვევო პოლისის ხელმისაწვდომობის გაზრდა სადაზღვევო პრემიის სუბსიდირებით შეუძლია. გასათვალისწინებელია ისიც, რომ აგროდაზღვევა დაზღვევის სპეციფიური სახეა და სპეციალურ აგროცოდნას მოითხოვს. სახელმწიფოს აქვს საშუალება ხელი შეუწყოს ზარალის შეფასების სპეციალისტების სათანადო დონეზე მომზადებასაც.

2013 წლის ნოემბერში აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) ეკონომიკური აღმავლობის ინიციატივას (EPI) ფინანსური მხარდაჭერით ესპანური კომპნიის, Agroseguro-ს ექსპერტთა ჯგუფმა დეტალურად შეისწავლა საქართველოს აგროდაზღვევის ბაზარზე არსებული სიტუაცია და ქართველ ექსპერტებთან ერთად შესაბამისი რეკომენდაციებიც შეიმუშავა ქვეყანაში აგროდაზღვევის ბაზრის განვითარებისთვის. ესპანელმა ექსპერტებმა დაასკვნეს, რომ ჩვენს ქვეყანაში აგროდაზღვევის ბაზრის განვითარებისთვის სახელმწიფოს ჩარევა იყო აუცილებელი. ექსპერტებმა ქართველ აგროსექტორის წარმომადგენლებსა და სადაზღვევო კომპანიებს აგროდაზღვევის ესპანური მოდელი გააცნეს და ამ მიმართულებით საკუთარი გამოცდილებაც გაუზიარეს.<sup>15</sup> მომდევნო წელს კი გერმანიის რეკონსტრუქციისა და განვითარების საკრედიტო ბანკმა 200 000 ევრო გამოყო საქართველოში აგროდაზღვევის ბაზრის მდგომარეობისა და მისი პოტენციალის გამოკვლევისთვის.<sup>16</sup>

2014 წელს აგრარულ სექტორში სადაზღვევო ბაზრის განვითარებისა და აღნიშნული პროდუქტით ფერმერთა დაინტერესების მიზნით, ხელისუფლებამ მუშაობა დაიწყო აგროდაზღვევის ახალი მოდელის შექმნაზე. ჩამოყალიბდა სამუშაო ჯგუფი, რომელიც კანონმდებლების, სადაზღვევო კომპანიების წარმომადგენლებისა და ფერმერებისგან

<sup>15</sup> წყარო: <https://www.interpressnews.ge/ka/article/264234-agrodazgvevis-temaze-konperencia-gaimarta>

<sup>16</sup> წყარო: <http://www.tabula.ge/ge/story/84647-germanuli-kfw-banki-saqartveloshi-agrodazghvevis-potencials-gamoikvlevs>

შედგებოდა. ჯგუფში განიხილეს აგროდაზღვევის ესპანური და თურქული მოდელები.<sup>17</sup> უნდა აღინიშნოს, რომ ორივე ქვეყანაში ერთმანეთის მსგავსი და საკმაოდ წარმატებული მოდელები მოქმედებს, რომლებიც აგროდაზღვევის სტიმულირების სისტემაზეა დაფუძნებული და სახელმწიფოს, კერძო სექტორისა და ფერმერთა თანამშრომლობას ითვალისწინებს. ასეთ დროს სახელმწიფო სადაზღვევო პრემიების სუბსიდირებით ერთგვარ კატალიზატორის როლს ასრულებს აგროდაზღვევის განვითარებაში.

ექსპერტების რეკომენდაციების გათვალისწინებით და განხილულ მოდელებზე დაყრდნობით შემუშავდა აგროდაზღვევის სახელმწიფო პროგრამა, რომელიც თავდაპირველად საპილოტე რეჟიმში შესთავაზეს ფერმერებს, თუმცა იგი მომდევნო წლებშიც გაგრძელდა, დროთა განმავლობაში, არსებული ხარვეზების გამოსწორების მიზნით, ცვლილებებიც შევიდა და დღემდე ხორციელდება ა(ა)იპ „სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სააგენტო“-ს მიერ.

## **2.2. სადაზღვევო კომპანიები აგროდაზღვევის ბაზარზე და აგროდაზღვევის სახელმწიფო პროგრამის შედეგები**

როგორც უკვე აღვნიშნეთ, აგროდაზღვევის პროგრამა 2014 წლის 1 სექტემბრიდან ამოქმედდა და სადაზღვევო პრემიაში სახელმწიფოს თანამონაწილეობას ითვალისწინებს. მის განხორციელებაზე ა(ა)იპ „სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სააგენტო“ პასუხისმგებელია. პროგრამა აგროდაზღვევის ბაზრის განვითარებას, სასოფლო-სამეურნეო საქმიანობით დაკავებული პირებისთვის შემოსავლის შენარჩუნებას, მათთვის რისკების შემცირებას და ზოგადად სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის განვითარების ხელშეწყობას ისახავს მიზნად.

აღნიშნული პროგრამა ითვალისწინებს მოსავლის დაზღვევას ისეთი რისკებისგან, როგორებიცაა: სეტყვა, წყალდიდობა, ქარიშხალი და საშემოდგომო ყინვა

<sup>17</sup> წყარო: <http://eugeorgia.info/ka/article/57/agrodazgvevis-axal-models-fermerebs-savaraudod-2015-wels-shestavazeben>

(გათვალისწინებულია მხოლოდ ციტრუსებისთვის). დაზღვევას ექვემდებარება მარცვლეული, პარკოსანი, ბოსტნეული, ბაღჩეული კულტურები, ვაზი, ხეხილი, ასევე კენკროვანი, კაკლოვანი, სუბტროპიკული კულტურები და ციტრუსები. თითოეული კულტურისთვის განსაზღვრულია მაქსიმალური ნორმატიული მოსავლიანობა და მაქსიმალური ნორმატიული ფასი, რომლის ლიმიტის ზემოთ დაზღვევა და შესაბამისად სადაზღვევო ანაზღაურების გაცემა პროგრამის ფარგლებში არ ხდება.

აგროდაზღვევის პროგრამის განხორციელების მიზნით სააგენტო ხელშეკრულებას აფორმებს საქართველოში კანონმდებლობით დადგენილი წესით ლიცენზირებულ ყველა იმ სადაზღვევო ორგანიზაციასთან, რომელიც პროგრამაში ჩართვის სურვილს გამოთქვამს და სწორედ აღნიშნული ხელშეკრულების საფუძველზე ახორციელებს მათ მონიტორინგს და სადაზღვევო პრემიის სუბსიდირებას.<sup>18</sup>

პირველ წელს პროგრამის განხორციელებისთვის ბიუჯეტიდან 5 მილიონი ლარი გამოიყო.<sup>19</sup> პოლისის ღირებულების 70-90%-ს, ზოგიერთ შემთხვევაში კი 95%-ს, სახელმწიფო ფარავდა, დამზღვევი კი დაზღვევის პროცენტს 0.5%-დან გარკვეული შკალის მიხედვით იხდიდა. მოსავალი იზღვეოდა სეტყვის, ჭარბი ნალექის, ქარიშხალისა და ციტრუსების შემთხვევაში საშემოდგომო ყინვისგან. პროგრამის ფარგლებში დასაზღვევად მიიღებოდა მხოლოდ ისეთი მიწის ნაკვეთები, რომლებზეც აზომვითი ნახაზი, საკადასტრო კოდი ან GPS კოორდინატები იქნებოდა წარმოდგენილი. ერთ დამზღვევზე სააგენტოს მიერ გადასახდელი სადაზღვევო პრემიის თანადაფინანსების მაქსიმალური თანხა-30 000 ლარით, ხოლო სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების შემთხვევაში 50 000 ლარით განისაზღვრა. მოცდის პერიოდი 5 უწყვეტი კალენდარული დღე, ხოლო ფრანშიზა სადაზღვევო ლიმიტის 10%-ის ოდენობით დადგინდა. პირველ წელს სადაზღვევო ტარიფები არ იყო ფიქსირებული და მოქმედებდა მხოლოდ ტარიფის ზედა ზღვარი.<sup>20</sup> პროგრამაში ჩაერთო შემდეგი 5 სადაზღვევო კომპანია: „ალდაგი“, „ჯი პი აი ჰოლდინგი“,

<sup>18</sup> წყარო: სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სააგენტო, პროექტი-აგროდაზღვევა <http://arda.gov.ge/projects/read/agroinsurance/4:parent>

<sup>19</sup> წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებები.

<sup>20</sup> წყარო: საქართველოს მთავრობის 2014 წლის 19 აგვისტოს განკარგულება №1462 „აგროდაზღვევის მიზნით განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ“, თბ., 2014.

„აი სი ჯგუფი“, „ირაო“ და „ქართუ დაზღვევა“, თუმცა რამდენიმე თვეში „ქართუ დაზღვევამ“ პროგრამაში მონაწილეობა შეწყვიტა და მის მიერ აღებული ვალდებულებები მთლიანად „ირაომ“ გადაიხარა.<sup>21</sup>

თუმცა, ზარალის ანაზღაურებასთან დაკავშირებით დაზღვეულ მეციტრუსებს პრობლემები შეექმნათ. სადაზღვევო კომპანიებში რიგები იდგა, ზარალის ანაზღაურება კი იგვიანებდა. აღნიშნულის გათვალისწინებით აგროდაზღვევის პროგრამა გადამუშავდა, პროგრამის ბიუჯეტი გაორმაგდა და 2015 წელს სახელმწიფომ მისი განხორციელებისთვის ბიუჯეტიდან 10 მილიონი ლარი გამოყო. პროგრამაში მონაწილე სადაზღვევო კომპანიებს დაემატა კიდევ ორი: „არდი“ და „უნისონი.“ შეიცვალა პირობები მოსავლის დაზღვევის პერიოდთან მიმართებაში, ანუ თუ 2014 წელს დადებული სადაზღვევო ხელშეკრულებებით მზღვეველი ვალდებული იყო ორი წლის (2014 და 2015) მოსავალი დაეზღვია, მომდევნო წლებში შესაძლებელი იყო მხოლოდ მიმდინარე წლის მოსავლის დაზღვევა.<sup>22</sup> შემცირდა სადაზღვევო პრემიაში სახელმწიფოს თანამონაწილეობა და ვაზის შემთხვევაში პრემიის 40%-ს, ხოლო სხვა მცენარეული კულტურების შემთხვევაში 60%-ს ფარავდა. დაწესდა შეზღუდვები მიწის ფართობის სიდიდის მხრივ, რითაც აქცენტი მცირემიწიან ბენეფიციარებზე გაკეთდა. დაზღვევა მხოლოდ იმ ფიზიკურ და იურიდიულ პირებს შეეძლოთ, რომელთაც მაქსიმუმ 5 ჰექტარამდე, ხორბლის მოსავლის შემთხვევაში კი მაქსიმუმ 15 ჰექტარამდე მიწის ფართობი გააჩნდათ, თუმცა ეს შეზღუდვა არ ვრცელდებოდა სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებზე. მოიხსნა ლიმიტი ერთ დამზღვევზე სააგენტოს მიერ გადასახდელი სადაზღვევო პრემიის თანადაფინანსების მაქსიმალური თანხასთან (30 000 ლ) დაკავშირებით, თუმცა სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებისთვის უცვლელი დარჩა (50 000 ლ). სხვადასხვა სახის მცენარეული კულტურებისთვის განისაზღვრა ფიქსირებული სადაზღვევო ტარიფები.<sup>23</sup>

<sup>21</sup> წყარო: საქართველოს სადაზღვევო კომპანიათა ასოციაცია.

<sup>22</sup> წყარო: საქართველოს სადაზღვევო კომპანიათა ასოციაცია.

<sup>23</sup> წყარო: საქართველოს მთავრობის 2015 წლის 19 თებერვლის განკარგულება №306 „აგროდაზღვევის პროგრამის დამტკიცების შესახებ“, თბ., 2015.

2016 წლის მარტში მთავრობამ აგროდაზღვევის განახლებული პროგრამა დაამტკიცა, რომლის განხორციელებისთვისაც ბიუჯეტიდან 9 მილიონი ლარი გამოიყო.<sup>24</sup> სადაზღვევო პრემიაში სახელმწიფოს თანამონაწილეობა ვაზის შემთხვევაში 40%-დან 50%-მდე, სხვა მცენარეული კულტურებისთვის კი 60%-დან 70%-მდე გაიზარდა. ამასთან, ეს მაჩვენებელი 10%-ით იმატებდა იმ შემთხვევაში, თუკი დამზღვევს მიწის ნაკვეთი საჯარო რეესტრში ქონდა დარეგისტრირებული ან საკადასტრო კოდი გააჩნდა. წინა წლისგან განსხვავებით, დაზღვევა შეეძლო ყველა იმ პირს, ვისაც სარგებლობაში, საკუთრებაში ან ფაქტობრივ მფლობელობაში სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი გააჩნდა, თუმცა პროგრამის ფარგლებში დაზღვევას მაქსიმუმ 5 ჰა, ხოლო მარცვლეული კულტურების შემთხვევაში კი მაქსიმუმ 30 ჰა მიწის ფართობი ექვემდებარებოდა (შეზღუდვა არ ვრცელდებოდა სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებზე). მცენარეული კულტურების მიხედვით განისაზღვრა მინიმალური და მაქსიმალური სადაზღვევო ტარიფები. გარდა ამისა, მზღვეველს დაეკისრა დაზღვეული დაზიანებული მიწის ნაკვეთის დათვალიერების აქტის ბენეფიციარის იდენტიფიცირებიდან 30 კალენდარული დღის ვადაში შედგენის ვალდებულება.<sup>25</sup> 2016 წელს პროგრამაში მონაწილეობა შეწყვიტა სადაზღვევო კომპანია „ირაომ“.<sup>26</sup>

2017 წელს პროგრამის განხორციელებისთვის ბიუჯეტიდან 7 მილიონი ლარი გამოიყო, სახელმწიფოს მხრიდან თანამონაწილეობა ვაზზე 50%-ის, ხოლო ყველა სხვა კულტურის შემთხვევაში 70%-ის ოდენობით განისაზღვრა.<sup>27</sup> მოცდის პერიოდი შემცირდა 5-დან 4 კალენდარულ დღემდე. გაუმჯობესდა და მომხმარებელთა მოთხოვნილებებს მოერგო ფრანშიზას გამოქვითვის წესი-ერთი და იმავე რისკის ხდომილებისას, თუკი მეორე სადაზღვევო შემთხვევა მოხდება წინა სადაზღვევო შემთხვევის შედეგად დაზიანებული მიწის ნაკვეთის დათვალიერების აქტის შედგენამდე, ფრანშიზა ერთჯერადად გამოიქვითება, თუმცა მზღვეველს ინფორმაცია ორივე სადაზღვევო

<sup>24</sup> წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებები.

<sup>25</sup> წყარო: საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 მარტის განკარგულება №524 „აგროდაზღვევის პროგრამის დამტკიცების შესახებ“, თბ., 2016.

<sup>26</sup> წყარო: საქართველოს სადაზღვევო კომპანიათა ასოციაცია.

<sup>27</sup> წყარო: სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სააგენტო.

შემთხვევის შესახებ პროგრამით დადგენილი წესით უნდა ქონდეს მიღებული. სადაზღვევო ტარიფები შემცირდა და გახდა ფიქსირებული, გარდა ამისა, 2017 წლიდან პროგრამით ჭარბი ნალექის ნაცვლად წყალდიდობა იზღვევა.<sup>28</sup> აღსანიშნავია ისიც, რომ 2016 წლამდე პრობლემას წარმოადგენდა ზიანის შეფასება, რადგან სადაზღვევო კომპანიებისთვის ზარალის შეფასების მეთოდოლოგია სტანდარტული არ იყო, რაც ხშირად ფერმერთა უკმაყოფილებას იწვევდა. 2016 წელს, ესპანელი ექსპერტების დახმარებით, ძირითადი კულტურებისთვის შემუშავდა ზიანის შეფასების უნიფიცირებული მეთოდოლოგია, რომლითაც 2017 წლიდან პროგრამაში ჩართული ყველა სადაზღვევო კომპანია ხელმძღვანელობს.<sup>29</sup> პროგრამაში მონაწილეობდა 5 სადაზღვევო კომპანია: „ალდაგი“, „ჯი პი აი ჰოლდინგი“, „არდი“, „ალფა“ და „აი სი ჯგუფი“.<sup>30</sup>

2018 წელს აგროდაზღვევის პროექტის დასაფინანსებლად ბიუჯეტიდან 9 მილიონი ლარი იყო გათვალისწინებული,<sup>31</sup> თანაც, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ წარმოადგინა ახალი ინიციატივა, რაც სავარგულების აუცილებელი წესით დარეგისტრირებას გულისხმობდა. წინა წლებისგან განსხვავებით, პროგრამით ისარგებლებდნენ მხოლოდ ის ფერმერები, რომელთაც მიწის ნაკვეთი დარეგისტრირებული ქონდათ. პარალელურად, გამარტივდა რეგისტრაციის პროცესი. პროგრამის ფარგლებში გაცემული სადაზღვევო პოლისებისთვის დაწესდა მოქმედების მინიმუმ ერთ თვიანი ვადა,<sup>32</sup> ფრანშიზა კი ციტრუსების შემთხვევაში 15%-მდე გაიზარდა.<sup>33</sup> 2018 წელს პროგრამაში ჩაერთო 7 სადაზღვევო კომპანია: „ალდაგი“, „ჯი პი აი ჰოლდინგი“,

---

<sup>28</sup> წყარო: საქართველოს მთავრობის 2017 წლის 31 მარტის განკარგულება №648 „აგროდაზღვევის პროგრამის დამტკიცების შესახებ“, თბ., 2017.

<sup>29</sup> წყარო: სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სააგენტო.

<sup>30</sup> წყარო: სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სააგენტო.

<sup>31</sup> წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებები.

<sup>32</sup> წყარო: საქართველოს მთავრობის 2018 წლის 4 აპრილის დადგენილება №162 „აგროდაზღვევის პროგრამის დამტკიცების შესახებ“, თბ., 2018.

<sup>33</sup> წყარო: საქართველოს მთავრობის 2018 წლის 24 ოქტომბრის №496 დადგენილება „აგროდაზღვევის პროგრამის“ დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 4 აპრილის №162 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“, თბ., 2018.

„არდი“, „ალფა“, „აი სი ჯგუფი“, „თიბისი დაზღვევა“ და „საქართველოს სადაზღვევო ჯგუფი“.<sup>34</sup>

2019 წელს პროგრამის დასაფინანსებლად ბიუჯეტიდან 8 მილიონი ლარი გამოიყო.<sup>35</sup> სახელმწიფოს თანადაფინანსების წილი სადაზღვევო პრემიაში კვლავ უცვლელი დარჩა, თუმცა წითელი ვაზის მოსავლის შემთხვევაში გაიზარდა პოლისის სადაზღვევო ლიმიტი და 1 ჰა-ზე 10 000 ლარის ნაცვლად 15 000 ლარი დადგინდა. სოფლის მეურნეობის სამინისტროს ინფორმაციით, აღნიშნული ცვლილება 2018 წელს ყურძნის ფასის მომატებამ გამოიწვია. ამასთან, კვლავ შევიდა ცვლილებები სადაზღვევო პოლისის გაცემის პირობებში: გარდა დასაზღვევი მიწის ნაკვეთის საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში სავალდებულო რეგისტრაციისა, დამზღვევი ან/და მიწის ნაკვეთის მესაკუთრე „ფერმათა/ფერმერთა რეგისტრაციის პროექტის“ ფარგლებში წარმოებულ რეესტრში უნდა იყოს რეგისტრირებული.<sup>36</sup> პროგრამაში მონაწილეობას იღებდა შემდეგი 8 სადაზღვევო კომპანია: „ჯი პი აი ჰოლდინგი“, „ალდაგი“, „არდი“, „ალფა“, „სადაზღვევო კომპანია ევრონის ჯორჯია“, „გლობალ ბენეფიტს ჯორჯია“, „საქართველოს სადაზღვევო ჯგუფი“ და „თიბისი დაზღვევა“.<sup>37</sup>

2020 წელს აგროდაზღვევის პროგრამის ბიუჯეტი 9 მილიონი ლარით განისაზღვრა.<sup>38</sup> სოფლის მეურნეობის ანტიკრიზისული გეგმის ფარგლებში პროგრამაში მიმდინარე წელს მნიშვნელოვანი ცვლილება შევიდა, კერძოდ კი მრავალწლიანი კულტურების დაზღვევის ვადა გაიზარდა და სადაზღვევო პოლისი ერთის ნაცვლად სამი წლის განმავლობაში იმოქმედებს, ამიტომ ფერმერებს აღარ მოუწევთ მომდევნო ორი წლის განმავლობაში პროგრამის დამტკიცებას დაელოდონ. ერთწლიანი კულტურების შემთხვევაში კვლავ მიმდინარე წლის მოსავლის დაზღვევაა შესაძლებელი. ამასთან, დამზღვევი თავის წილ პრემიას ერთწლიანი კულტურების დაზღვევისას იხდის სრულად და ერთჯერადად

<sup>34</sup> წყარო: სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სააგენტო.

<sup>35</sup> წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებები.

<sup>36</sup> წყარო: საქართველოს მთავრობის 2019 წლის 11 აპრილის დადგენილება №188 „აგროდაზღვევის პროგრამის დამტკიცების შესახებ“, თბ., 2019.

<sup>37</sup> წყარო: სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სააგენტო.

<sup>38</sup> წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებები.



სადაზღვევო პოლისის მიღების მომენტში, მრავალწლიანი კულტურების შემთხვევაში კი უფლება აქვს მომდევნო კალენდარული წლისთვის გათვალისწინებული პრემიის თანხა გადაიხადოს მას შემდეგ, როდესაც დასრულდება კონკრეტული კულტურის მოსავლის აღების პერიოდი, თუმცა არა უგვიანეს მიმდინარე წლის 31 დეკემბრისა. პროგრამის ფარგლებში გაცემული სადაზღვევო პოლისები იმოქმედებს არანაკლებ ერთი თვის ვადით და არა უმეტეს კონკრეტული წლის მოსავლის ციკლის გათვალისწინებით. პოლისის მოქმედების ვადა მომდევნო კალენდარული წლის მოსავალზე დაიწყება კონკრეტული კულტურის მოსავლის აღების პერიოდის დასრულების შემდეგ. მოცდის პერიოდი შეადგენს 4 კალენდარულ დღეს.

2020 წელს უცვლელი დარჩა როგორც სადაზღვევო ტარიფები და ფრანშიზას გამონაგარიშებისა და გამოქვითვის წესი, ასევე სუბსიდიის ნაწილიც: ვაზის გარდა ყველა სხვა კულტურაზე სადაზღვევო პრემიაში სახელმწიფოს თანამონაწილეობა 70%-ს, ვაზის შემთხვევაში კი 50%-ს შეადგენს (სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების შემთხვევაში ერთ დამზღვევზე/მოსარგებლზე გადასახდელი პრემიის თანხა არ უნდა აჭარბებდეს 50 000 ლარს ყოველ კალენდარულ წელს).

ფერმერებს შეუძლიათ დააზღვიონ როგორც მარცვლეული კულტურა, ასევე სხვა კულტურები ერთდროულად. პოლისის შეძენა შეუძლია ყველა იმ ფიზიკურ და იურიდიულ პირს, რომელსაც სარგებლობაში, საკუთრებაში ან ფაქტობრივ მფლობელობაში აქვს სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, თუმცა პროგრამის ფარგლებში დაზღვევას ექვემდებარება მაქსიმუმ 5 ჰა, ხოლო მარცვლეული კულტურების შემთხვევაში მაქსიმუმ 30 ჰა მიწის ნაკვეთი (აღნიშნული შეზღუდვა არ ვრცელდება სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებზე). დასაზღვევად მიიღება მხოლოდ სსიპ-საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში რეგისტრირებული მიწის ნაკვეთები, დამზღვევი (ან/და მიწის ნაკვეთის მესაკუთრე) კი სოფლისა და სოფლის მეურნეობის

განვითარების სააგენტოს მიერ „ფერმათა/ფერმერთა რეგისტრაციის პროექტის“ ფარგლებში წარმოებულ რეესტრში უნდა იყოს რეგისტრირებული.<sup>39</sup>

პროგრამაში ჩაერთო 7 სადაზღვევო კომპანია: „ჯი პი აი ჰოლდინგი“, „ალდაგი“, „არდი“, „ალფა“, „სადაზღვევო კომპანია ევროინს ჯორჯია“, „თიბისი დაზღვევა“ და „ნიუ ვიჟენ დაზღვევა“.<sup>40</sup>

იმ შემთხვევაში, თუკი ფერმერი ვერ დააკმაყოფილებს სახელმწიფო პროგრამის რომელიმე კრიტერიუმს, შეუძლია აგროდაზღვევის პროდუქტი მაინც შეიძინოს, თუმცა სადაზღვევო პრემიის სრულად გადახდა სახელმწიფო თანადაფინანსების გარეშე მოუწევს და პოლისი ბევრად უფრო ძვირი დაუჯდება. მაგალითად 1 ჰა კარტოფილის ნათესის დაზღვევის შემთხვევაში, თუ ფერმერმა მოსავლის სახით 25 ტონა პროდუქცია უნდა მიიღოს, სადაზღვევო პოლისის ფასი 1275 ლარი იქნება, საიდანაც იგი მხოლოდ 382,5 ლარს, დანარჩენს კი სახელმწიფო გადაიხდის. სახელმწიფო თანადაფინანსების გარეშე პოლისის სრული ღირებულების გადახდა ფერმერს მოუწევს.<sup>41</sup>

აგროდაზღვევის სახელმწიფო პროგრამა უკვე მეშვიდე წელია მოქმედებს. 2014-2018 წლებში აგროდაზღვევის უზრუნველყოფის ღონისძიებებზე ჯამში ბიუჯეტიდან 33,9 მილიონი ლარი დაიხარჯა, 2019 წელს კი ბიუჯეტიდან 8 მილიონი ლარი იყო გამოყოფილი.<sup>42</sup> აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია განვიხილოთ, თუ რა გავლენა მოახდინა სახელმწიფოს ჩარევამ აგროდაზღვევის ბაზრის განვითარებაზე.

2014 წელს აგროდაზღვევის პროგრამის ფარგლებში 21 056 პოლისი გაიცა, რაც ძალიან კარგი მაჩვენებელია წინა წლის ფონზე, როდესაც აგროდაზღვევის პროდუქტით მხოლოდ 2000 ფერმერი სარგებლობდა. ჯამურმა სადაზღვევო პრემიამ-12 586 739 ლარი, დაზღვეულმა ფართობმა კი 18 723 ჰა შეადგინა. სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალდა 6 395 ბენეფიციარი და დაზიანდა 10 210 ჰა მიწის ნაკვეთის ფართობი

<sup>39</sup> წყარო: საქართველოს მთავრობის 2020 წლის 10 აპრილის №236 დადგენილება „აგროდაზღვევის პროგრამის დამტკიცების შესახებ“, თბ., 2020.

<sup>40</sup> წყარო: სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სააგენტო, პროექტი-აგროდაზღვევა.

<sup>41</sup> დაანგარიშებულია ავტორის მიერ შემდეგ წყაროზე დაყრდნობით: საქართველოს მთავრობის 2020 წლის 10 აპრილის №236 დადგენილება „აგროდაზღვევის პროგრამის დამტკიცების შესახებ“, თბ., 2020, დანართი №1.

<sup>42</sup> წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებები.

(დაზღვეული ფართობის 54,5%), ანაზღაურებულმა ზარალმა 11 296 414 ლარი, ზარალიანობის წმინდა კოეფიციენტი კი 89,7% შეადგინა.<sup>43</sup>

2015 წელს პროგრამის ფარგლებში მხოლოდ 7 634 პოლისი გაიცა, რაც წინა წლის მაჩვენებელთან შედარებით 63,7%-ით ნაკლებია. ჯამური სადაზღვევო პრემია 2014 წელთან შედარებით-72,6%-ით, დაზღვეული მიწის ნაკვეთების ფართობი კი 73,6%-ით შემცირდა. პროგრამის შედეგების ასეთი გაუარესება სადაზღვევო პრემიაში სახელმწიფო თანამონაწილეობის შემცირებას (ვაზის შემთხვევაში პრემიის 40%, სხვა მცენარეული კულტურების შემთხვევაში 60%) უკავშირდება. დაზღვეული სტიქიური მოვლენების შედეგად 4 483 ბენეფიციარი და 2 561 ჰა ფართობი მიწის ნაკვეთი (დაზღვეული ფართობის 51,8%) დაზიანდა, ანაზღაურებულმა ზარალმა-2 904 487 ლარი, ზარალიანობის წმინდა კოეფიციენტი კი 84,3% შეადგინა.

2016 წელს პროგრამის სუბსიდირებულ ნაწილში შესულმა ცვლილებებმა (სახელმწიფოს თანამონაწილეობა ვაზის შემთხვევაში 40%-დან 50%-მდე, სხვა მცენარეული კულტურებისთვის კი 60%-დან 70%-მდე გაიზარდა. ეს მაჩვენებელი 10%-ით იმატებდა იმ შემთხვევაში, თუკი დამზღვევს მიწის ნაკვეთი საჯარო რეესტრში ქონდა დარეგისტრირებული ან საკადასტრო კოდი გააჩნდა) დადებითად იმოქმედა პროგრამის ბენეფიციართა რაოდენობაზე. აღნიშნულ წელს გაიცა 18 795 პოლისი, რაც 2,5-ჯერ მეტია 2015 წლის მაჩვენებელზე. ჯამური სადაზღვევო პრემია წინა წელთან შედარებით 248%-ით გაიზარდა და 11 981 874 ლარი შეადგინა, დაზღვეული მიწის ნაკვეთების ფართობი კი 212,9%-ით გაიზარდა და 15 472 ჰა მოიცვა. სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალდა 6 399 ბენეფიციარი და დაზიანდა დაზღვეული ფართობის 39,2%, ანაზღაურებულმა ზარალმა-6 211 368 ლარი, ზარალიანობის წმინდა კოეფიციენტი კი 51,8% შეადგინა.

2017 წელს პროგრამის ფარგლებში გაიცა 21 394 პოლისი, 2016 წელთან შედარებით 13,8%-ით მეტი, ხოლო დაზღვეული მიწის ნაკვეთების ფართობში 33,9%-ანი ზრდა დაფიქსირდა და 20 718 ჰექტარი შეადგინა. მიუხედავად იმისა, რომ 2016 წელთან

---

<sup>43</sup> აქ და შემდგომ „აგროდაზღვევის სახელმწიფო პროგრამის“ შედეგები გაანალიზებულია საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს 2019 წლის წლიური ანგარიშის მონაცემებზე დაყრდნობით.

შედარებით გაცემული პოლისების რაოდენობა და დაზღვეული ფართობი გაიზარდა, მოზიდული ჯამური პრემია 2,8%-ით შემცირდა და 11 649 283 ლარი შეადგინა, სადაც სახელმწიფოს მიერ 63,6% იყო გადახდილი. აღნიშნულ წელს დაზარალდა 5 663 ბენეფიციარი და დაზიანდა 9 659 ჰა მიწის ნაკვეთის ფართობი (დაზღვეული ფართობის 46,6%), ანაზღაურებულმა ზარალმა 9 284 934 ლარი, ზარალიანობის წმინდა კოეფიციენტმა 79,7% შეადგინა. სადაზღვევო პრემიაში სახელმწიფოს მიერ სუბსიდირებულ ყოველ 100 ლარზე 125,4 ლარი სადაზღვევო ანაზღაურება მოდიოდა.

2018 წელს აგროდაზღვევის პროგრამის ფარგლებში გაცემული პოლისების რაოდენობა 2017 წელთან შედარებით 41,2%-ით შემცირდა. დაზღვეულმა ფართობმა-11 557 ჰა, მოზიდულმა პრემიამ კი 7 135 833 ლარი შეადგინა. 2017 წელთან შედარებით მოზიდული პრემია 38,7%-ით, ხოლო დაზღვეული მიწის ნაკვეთის ფართობი 44,2%-ით შემცირდა. ბენეფიციართა ასეთი მკვეთრი შემცირება პროგრამაში განხორციელებულ ცვლილებებს, კერძოდ კი დასაზღვევად მხოლოდ სსიპ-საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში რეგისტრირებული მიწის ნაკვეთების მიღებას უკავშირდება. სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალდა 1 619 ბენეფიციარი და დაზიანდა დაზღვეული ფართობის 42%, ანაზღაურებულმა ზარალმა-5 645 178 ლარი, ზარალიანობის წმინდა კოეფიციენტმა კი 79,1% შეადგინა. სახელმწიფოს მიერ სუბსიდირებულ ყოველ 100 ლარ სადაზღვევო პრემიაზე 126,2 ლარი სადაზღვევო ანაზღაურება მოდიოდა.

2019 წელს აგროდაზღვევის პროგრამის ფარგლებში გაიცა 16 473 პოლისი, დაზღვეული მიწის ნაკვეთების ფართობმა-13 852 ჰა, ხოლო მოზიდულმა ჯამურმა პრემიამ 9 583 048 ლარი შეადგინა, სადაც 61% სახელმწიფოს მიერ იყო სუბსიდირებული. ამასთან, 2018 წელთან შედარებით გაცემული პოლისების რაოდენობა-31%-ით, დაზღვეული ნაკვეთების ფართობი-19,9%-ით, ხოლო ჯამური სადაზღვევო პრემია 34,3%-ით გაიზარდა. აღსანიშნავია, რომ დამატებითმა მოთხოვნებმა დამზღვევის/მიწის ნაკვეთის მესაკუთრის „ფერმათა/ფერმერთა რეგისტრაციის პროექტის“ ფარგლებში წარმოებულ რეესტრში სავალდებულო რეგისტრაციასთან დაკავშირებით, პროგრამის ბენეფიციართა რაოდენობაზე უარყოფითად არ იმოქმედა. 2019 წელს დაზღვეული სტიქიური მოვლენების

შედეგად დაზარალდა 2 518 ბენეფიციარი, ანაზღაურების სახით გაიცა 2 909 637 ლარი, ზარალიანობის წმინდა კოეფიციენტი 30,4% შეადგინა.

2020 წელს პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია 12 000 ჰექტარზე მეტი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის დაზღვევა და 15 000-ზე მეტი სადაზღვევო პოლისის გაცემა. როგორც სტატისტიკური მონაცემები გვიჩვენებს, ქვეყანაში გამოცხადებული საგანგებო მდგომარეობის მიუხედავად, აპრილის თვის მონაცემებით, აგროდაზღვევის მიმართულებით გაცემული პოლისების რაოდენობა 2019 წლის ანალოგიური პერიოდის მაჩვენებელზე 40%-ით მეტია. 2020 წლის აპრილის თვის მდგომარეობით, აგროდაზღვევის პროგრამის ფარგლებში გაცემულია 7 990 პოლისი, დაზღვეული მოსავლის ღირებულება 74 მლნ ლარს, ხოლო დაზღვეული მიწის ფართობი 7 544 ჰა-ს აღემატება. 1 ივნისის მონაცემებით კი პროგრამის ფარგლებში გაცემული პოლისების რაოდენობა 10 899-მდე გაიზარდა, დაზღვეული მიწის ფართობმა 10 000 ჰა-ს, ხოლო დაზღვეული მოსავლის ღირებულებამ 107 მლნ ლარს გადააჭარბა.<sup>44</sup> პროგრამაში ჩართული სადაზღვევო კომპანიები საქართველოს ყველა რეგიონში არიან წარმოდგენილნი, ამასთან, დაზღვევის მსურველებს პოლისების შექმნა სადაზღვევო კომპანიების პარტნიორ ბანკებში 0%-ანი განვადებითაც შეუძლიათ. ფერმერთათვის საჭირო ინფორმაციის მიწოდება და პოლისების გაცემა დაავადებათა კონტროლის ცენტრის რეკომენდაციების დაცვით ხორციელდება.

რაც შეეხება პროგრამის საერთო შედეგებს, 2014-2019 წლების განმავლობაში ჯამში გაცემულია 97 926 პოლისი, დაზღვეულია 85 265 ჰა მიწის ნაკვეთის ფართობი, მოზიდულმა სადაზღვევო პრემიამ კი 56 381 077 ლარი შეადგინა, აქედან 70,4%, ანუ 39 700 667 ლარი სახელმწიფოს მიერ არის გადახდილი. აღნიშნული 6 წლის განმავლობაში დაზღვეული მოსავლის ღირებულებამ 770 მლნ ლარს გადააჭარბა, ზარალის ანაზღაურების მიზნით კი 38 252 017 ლარი გაიცა.

პროგრამის ამოქმედების შემდეგ აგროდაზღვევის წილი სადაზღვევო სექტორში 2014 წელს-4,2%-მდე გაიზარდა, რაც ძალიან კარგი მაჩვენებელია წინა წლების ფონზე,

---

<sup>44</sup> წყარო: სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სააგენტო.

როდესაც აგროდაზღვევის წილი სადაზღვევო სექტორში 1%-ზე ნაკლები იყო. 2015 წელს ეს მაჩვენებელი 0,9%-მდე შემცირდა, 2016 წელს-3%, 2017 წელს-2,6%, 2018 წელს-1,3%, 2019 წელს კი 1,5% შეადგინა, ამასთან, აგროდაზღვევის წილი სადაზღვევო სექტორში მნიშვნელოვნად ჩამორჩება სოფლის მეურნეობის წილს ქვეყნის მშპ-ში (იხ: დანართი №5), რაც აგროდაზღვევის დაბალ შეღწევადობაზე მიუთითებს.

აგროდაზღვევის პროდუქტზე ყველაზე მაღალი მოთხოვნა 2014 და 2017 წლებში იყო, ყველაზე მცირე კი-2015 წელს (იხ: დანართი №6). ჯამური შედეგების მიხედვით ყველაზე მეტი პოლისი კახეთში გაიყიდა (37%), შემდეგ მოდის აჭარა (24%), გურია (9%) და შიდა ქართლი (8,7%), ყველაზე მცირე რაოდენობით პოლისები კი თბილისში იყიდება (იხ: დანართი №7). უნდა აღინიშნოს, რომ 2014 წლის საქართველოს სასოფლო-სამეურნეო აღწერის მონაცემებით, ყველაზე მეტი შინამეურნეობა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწით იმერეთში დაფიქსირდა (19%), კახეთში-16%, სამეგრელო-ზემო სვანეთში-13%, ქვემო ქართლში-12% (იხ: დანართი №18), თუმცა იმერეთში გაცემულია პოლისების მხოლოდ-6,3%, სამეგრელო-ზემო სვანეთში-8,3%, ქვემო ქართლში კი 2,3%. აღნიშნული ცხადყოფს, რომ მოცემულ რეგიონებში სადაზღვევო კულტურა და აგროდაზღვევაზე მოთხოვნა კვლავაც ძალიან დაბალია და ამ მიმართულებით დამატებითი მუშაობაა საჭირო. თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ 2019 წელს თითქმის ყველა რეგიონში (გარდა იმერეთისა და თბილისისა) 2018 წელთან შედარებით გაყიდული პოლისების რაოდენობის ზრდა დაფიქსირდა (იხ: დანართი №9), რაც გარკვეულწილად იმის დამსახურებაცაა, რომ გასულ წელს აგროდაზღვევის პროგრამის პირობები გააცნეს აჭარაში, ქვემო ქართლში, მცხეთა-მთიანეთში, კახეთსა და შიდა ქართლში მცხოვრებ ფერმერებს. ასევე მნიშვნელოვანია, რომ სოფლის მეურნეობის ანტიკრიზისული გეგმის გაცნობა სხვადასხვა რეგიონის ფერმერთათვის წელსაც აქტიურად მიმდინარეობს.<sup>45</sup>

დაზღვეული მიწის ფართობის მხრივაც კახეთია პირველ ადგილზე, რადგან დაზღვეული ფართობის 52% სწორედ ამ რეგიონში მდებარეობს, მას მოსდევს შიდა ქართლი (10%), ქვემო ქართლი (9%) და აჭარა (9%), ბოლო ადგილზე კი კვლავაც თბილისია

<sup>45</sup> წყარო: სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სააგენტო.

(იხ: დანართი №10). 2014 წლის სასოფლო-სამეურნეო აღწერის მონაცემებზე დაყრდნობით კახეთის მაჩვენებელი ლოგიკურია, რადგან ქვეყანაში სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის უდიდესი ნაწილი, 40% სწორედ კახეთში მდებარეობს. მას მოსდევს ქვემო ქართლი-16%-ით, სამცხე-ჯავახეთი-10%-ით, სამეგრელო-ზემო სვანეთი-8,5%-ით და შიდა ქართლი-8%-ით, აჭარაში კი ქვეყანაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მხოლოდ 2,5% მდებარეობს.

რაც შეეხება დაზღვეულ ფართობს კულტურების მიხედვით, ლიდერობს ვაზი (36,4%), მას მოყვება მარცვლეული კულტურები (30,1%), ხეხილი (12%), კაკლოვანი კულტურები (5,8%) და ციტრუსი (2%), ყველაზე მცირე ოდენობით კი კენკროვანი კულტურები იზღვევა (0,3%) (იხ: დანართი №12 და №13), თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მრავალწლიანი ნარგავებით დაკავებული მიწის ფართობებს შორის კენკროვანი კულტურებზე 1%-ზე ნაკლები მოდის (იხ: დანართი №19), მარცვლეული კულტურების შემთხვევაში კი დაზღვევას მაქსიმუმ 30 ჰა მიწის ნაკვეთის ფართობი ექვემდებარება (სხვა კულტურების შემთხვევაში ლიმიტი 5 ჰა-ია).

უფრო დაწვრილებით თუ განვიხილავთ აგროდაზღვევის პროგრამით დაზღვევას დაქვემდებარებული ერთწლიანი კულტურების ნათეს ფართობებში დაზღვეული ფართობის წილს, დავინახავთ, რომ 2014 წელს ეს მაჩვენებელი 1,95% იყო, 2015 წელს-0,9%, 2016 წელს-2,9%, 2017 წელს-5%, 2018 წელს-3%, გასულ წელს კი 3,1% (იხ: დანართი №11). მიუხედავად იმისა, რომ ნათეს ფართობებში დაზღვეული ფართობის წილი ძალიან მცირეა, ბოლო წლებში საწყის პერიოდთან შედარებით ზრდა მაინც შეიმჩნევა.

ISET-ის კვლევითი ინსტიტუტის მიერ ჩატარებული კვლევის მიხედვით, ჩვენს ქვეყანაში პოტენციური მიწის ფართობი, რომელზეც აგროდაზღვევის გამოყენებაა შესაძლებელი 397 943 ჰექტარს შეადგენს,<sup>46</sup> აგროდაზღვევის პროგრამით კი საშუალოდ 14 211 ჰა, ანუ აღნიშნული ფართობის 3,57% იზღვევა. განსხვავებული სიტუაციაა ევროკავშირის ქვეყნებში. კვიპროსში მაგალითად ყველა ფერმაა დაზღვეული, ავსტრიაში

<sup>46</sup> წყარო: Iset Policy Institute. Regulatory Impact Assessment on Crop Insurance Reform in Georgia. Tbilisi, 2015, Retrieved 12.03.2020, from [https://isetpi.ge/images/Projects\\_of\\_APRC/Regulatory\\_Impact\\_Assessment\\_RIA\\_on\\_the\\_crop\\_insurance\\_reform\\_of\\_Georgia\\_Final\\_Report\\_December\\_2015.pdf](https://isetpi.ge/images/Projects_of_APRC/Regulatory_Impact_Assessment_RIA_on_the_crop_insurance_reform_of_Georgia_Final_Report_December_2015.pdf)

ფერმათა 78%, პორტუგალიაში-40%, დანიაში-95%, ლუქსემბურგში-57% (გ. თეთრაძე, პ. კოლუაშვილი 2017). გასათვალისწინებელია ისიც, რომ დაზღვევას სახელმწიფო პროგრამით ექვემდებარება მხოლოდ საჯარო რეესტრში რეგისტრირებული მიწის ნაკვეთები, საჯარო რეესტრის ინფორმაციით კი, 2019 წლის თებერვლის მდგომარეობით, საქართველოში დარეგისტრირებას დაქვემდებარებული მიწის მხოლოდ 45% იყო რეგისტრირებული.

გარდა საჯარო რეესტრში მიწის ნაკვეთის სავალდებულო რეგისტრაციისა, როგორც აღვნიშნეთ, დამზღვევი რეგისტრირებული უნდა იყოს „ფერმათა/ფერმერთა რეგისტრაციის პროექტის“ ფარგლებში წარმოებულ რეესტრში, 2019 წლის მონაცემებით კი დარეგისტრირებული ფერმერული მეურნეობებისა და ფერმერების რაოდენობამ ჯამში მხოლოდ 122 831 ერთეული შეადგინა.<sup>47</sup> მიუხედავად იმისა, რომ ამ ორმა მოთხოვნამ დროებით დაამუხრუჭა აგროდაზღვევით მოსარგებლე ფერმერთა რაოდენობის ზრდა, მაინც აუცილებელ წამოწყებად მიმაჩნია, რადგან პროდუქტი მხოლოდ მაშინ განვითარდება და მოერგება ფერმერთა მოთხოვნებს, როდესაც ზუსტად და დეტალურად იქნება ცნობილი რეგიონების მიხედვით ფერმერთა რაოდენობა, ფერმერული მეურნეობების ზომა, საქმიანობის მიმართულება, წარმოებული პროდუქცია და სხვა.

აუცილებლად უნდა განვიხილოთ ის სტიქიური მოვლენებიც, რომლებიც ყველაზე დიდ საფრთხეს უქმნის სოფლის მეურნეობას, ესენია: სეტყვა, წყალდიდობა, ქარიშხალი, გვალვა და ყინვები.

სეტყვა საქართველოს მთელ ტერიტორიაზე მოდის, თუმცა მისი სიხშირით განსაკუთრებით აღმოსავლეთი საქართველო გამოირჩევა. ყოველწლიურად ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე ძლიერი სეტყვის 5-დან 15-მდე შემთხვევა მაინც ფიქსირდება, ნადგურდება სასოფლო-სამეურნეო სავარგულების 0.7%-დან 0.8%-მდე, სეტყვიანობით კი ძირითადად მაისის და ივნისის თვეები გამოირჩევა. უკანასკნელ პერიოდში სეტყვის სიხშირით და ინტენსივობით განსაკუთრებით 2012 და 2017 წლები გამოირჩეოდა. 2012 წელს ქვეყანას მხოლოდ სეტყვისგან 42 მლნ ლარის ზარალი მიადგა, 2017 წელს კი, 1995 წლიდან

<sup>47</sup> წყარო: საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს 2019 წლის წლიური ანგარიში.



მოყოლებული, სეტყვის შემთხვევათა ყველაზე მაღალი მაჩვენებელი (36 შემთხვევა) დაფიქსირდა. ჯამში 2013-2017 წლებში სეტყვის 135 შემთხვევა დაფიქსირდა, ქვეყნისთვის მიყენებულმა ზარალმა კი 130.7 მლნ ლარი შეადგინა.

წყალდიდობის სიხშირე საქართველოში ჰიდროლოგიური ქსელის მაღალი სიმჭიდროვითაა გამოწვეული. წყალდიდობა დამახასიათებელია ჩვენი ქვეყნის თითქმის ყველა მდინარისთვის, თუმცა მაღალი რისკით გურიის, იმერეთის, სამეგრელოს, მცხეთა-მთიანეთის მდინარეთა აუზები გამოირჩევა, ასევე მდინარე ალაზნის მარცხენა სანაპირო და მდინარე მტკვრის მიმდებარე ტერიტორიები. წყალდიდობათა შემთხვევების ზრდა საქართველოში 2008 წლიდან შეინიშნება, ამ პერიოდიდან წყალდიდობათა რიცხვი 8-დან 27-მდე მერყეობს. 2013-2017 წლების განმავლობაში წყალდიდობის 77 შემთხვევა დაფიქსირდა, რომელთაგან გამოწვეულმა ზარალმა ჯამში 167 მლნ ლარი შეადგინა.

ქარიშხალიც საქართველოს მთელ ტერიტორიაზე აღინიშნება, თუმცა მისი სიხშირით და განმეორებადობის მაღალი მაჩვენებლით აღმოსავლეთი საქართველო და იმერეთის რეგიონები გამოირჩევა. უკანასკნელ პერიოდში განსაკუთრებით გახშირდა ქარიშხალის შემთხვევათა რიცხვი და თუკი 1995-2007 წლებში ქარიშხალის 1-დან 6-მდე შემთხვევა ფიქსირდებოდა, 2013-2017 წლებში მისი 11-დან 37-მდე შემთხვევაა აღრიცხული, ამ პერიოდში ქარიშხლისგან ქვეყნისთვის მიყენებულმა ზარალმა 107.5 მლნ ლარი შეადგინა.

მნიშვნელოვანია შევხვით ისეთ მოვლენებსაც, რომლებიც არ შედის აგროდაზღვევის პროგრამაში, თუმცა განსაკუთრებულ ზიანს აყენებს მოსავალს, ესენია გვალვა და წაყინვები. გვალვა საქართველოს მთელ ტერიტორიაზე აღინიშნება, თუმცა მისი სიმძაფრით კახეთის, შიდა და ქვემო ქართლის, ზემო იმერეთის რეგიონები გამოირჩევა. თუკი ადრე ძლიერი გვალვები 15-20 წელიწადში ერთხელ აღინიშნებოდა, უკანასკნელ 15 წელიწადში კატასტროფული გვალვა 5-ჯერ განმეორდა-2006, 2009, 2010, 2011 და 2014 წლებში, რის გამოც ქვემო ქართლისა და დედოფლისწყაროს რაიონებში გაუდაბნოების პროცესია დაწყებული. მიმდინარე კლიმატური დათბობის პირობებში სავარაუდოდ გვალვების სიხშირე და ინტენსივობა კიდევ უფრო მოიმატებს. გვალვები მოქმედებს არა

მხოლოდ მოსავლიანობაზე (განსაკუთრებით მარცვლეულის), არამედ უარყოფით გავლენას ახდენს საძოვრებისა და სათიბების მდგომარეობაზე, რაც თავისთავად საფრთხეს უქმნის მეცხოველეობის სექტორსაც. 2007-2017 წლებში საქართველოს სოფლის მეურნეობისთვის მხოლოდ გვალვისგან მიყენებულმა ზარალმა 70 მლნ ლარი შეადგინა.<sup>48</sup>

ჩვენს ქვეყანაში ხეხილის მოსავლიანობაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს საგაზაფხულო წაყინვები. საკმაოდ ხშირია შემთხვევები, როდესაც გაზაფხულის ხანმოკლე თბილ დღეებს, რასაც მცენარეთა ვეგეტაციის დაწყება ახლავს თან, ტემპერატურის მკვეთრი დაცემა მოყვება. წაყინვების სიხშირე და ინტენსივობა განსაკუთრებულ გავლენას ახდენს ისეთი ხეხილოვანი კულტურების მოსავლიანობაზე, როგორებიცაა მაგალითად ნუში, გარგარი, ბროწეული ა.შ. საქართველოში გაზაფხულის გვიანი ყინვები ზოგჯერ აპრილის მიწურულს და მაისის დასაწყისშიც კი ხდება, როდესაც მცენარეთა უმეტესობა უკვე ყვავილობს ან ნასკვის ზრდის ფაზაშია. ამ დროს ყინვამ შესაძლოა ხილის მოსავლის 80%-დან 100%-მდეც კი გაანადგუროს (ზ. ბობოქაშვილი 2020). მაგალითად 2017 წლის 26 აპრილს, გამთენიისას, საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ჰაერის ტემპერატურის მკვეთრი ვარდნა დაფიქსირდა (-2-დან -4-გრადუსამდე სხვადასხვა რეგიონში), რასაც შედეგად ვენახისა და მრავალწლიანი ნარგავების გაყინვა მოყვა ქართლის, კახეთის, რაჭის, სამცხე-ჯავახეთისა და იმერეთის რამდენიმე მუნიციპალიტეტში (ჯ. რეხვიაშვილი 2017).

აღნიშნულის გათვალისწინებით ცხადია, რომ აუცილებელია გარკვეული ღონისძიებების გატარება გვალვისა და საგაზაფხულო ყინვების რისკების შემცირებისთვის. მიზანშეწონილია ამ რისკების ჩართვა აგროდაზღვევის სახელმწიფო პროგრამაში, რაც სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სააგენტოს განმარტებით ვერ ხერხდება შესაბამისი მეტეოროლოგიური დაკვირვების მონაცემების არარსებობის გამო, ასევე ფერმერთა ინფორმირება გვალვის საწინააღმდეგო ღონისძიებებთან და წაყინვისგან თავის დაცვის მეთოდებთან დაკავშირებით. გვალვის წინააღმდეგ ბრძოლისთვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება წყალუზრუნველყოფილი მიწის

---

<sup>48</sup> წყარო: 2014-2017 წლების გარემოს მდგომარეობის შესახებ ეროვნული მოხსენება. საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო, 2019.

ფართობების გაზრდას, ასევე ქვეყნის მიწისქვეშა წყლის რესურსული პოტენციალის გამოყენებას.

რაც შეეხება დაზღვეულ რისკებს, გასული 6 წლის განმავლობაში ყველაზე დიდი ოდენობით ზარალი (თითქმის 30 მლნ) სექტვამ გამოიწვია, მას მოსდევს ქარიშხალი 3,4 მლნ ლარით (იხ: დანართი №14), ცალკეული კულტურების მიხედვით კი ანაზღაურებული ზარალის უდიდესი ნაწილი ვაზზე (29%), ხეხილსა (24%) და ციტრუსებზე (17%) მოდის (იხ: დანართი №15 და №16).

უნდა აღინიშნოს, რომ ანაზღაურებული ზარალის წილი მთლიან მოზიდულ პრემიაში 2010-2012 წელთან შედარებით მნიშვნელოვნად შემცირდა. თუკი ადრე ანაზღაურებული ზარალის მოცულობა მოზიდულ პრემიას აჭარბებდა, სახელმწიფო პროგრამის ამოქმედების შემდეგ ზარალიანობის მაჩვენებელი 100%-ზე დაბლა ჩამოვიდა, 2017 წელს-80%, 2018 წელს-79%, 2019 წელს კი 30,4% შეადგინა (იხ: დანართი №4). ამ მაჩვენებლის გაუმჯობესება რისკების შედარებით უფრო დიდ ტერიტორიულ ერთეულზე გადანაწილებასთანაა დაკავშირებული, თუმცა, ჯამური შედეგების მიხედვით, ზარალიანობის მაჩვენებელი ორ რეგიონში, კერძოდ კი აჭარასა და ქვემო ქართლში 100%-ს გადასცდა და შესაბამისად 120% და 113%-ს მიაღწია, ზოგიერთ რეგიონში კი ძალიან დაბალი დაფიქსირდა, მაგალითად იმერეთში-3% (იხ: დანართი №17). აღნიშნული გარემოება ხაზს უსვამს იმ ფაქტს, რომ საჭიროა აგროდაზღვევის პროდუქტის დახვეწა, მისი ცალკეულ რეგიონზე მორგება, პროდუქტით მოსარგებლე ფერმერებისა და დაზღვეული ტერიტორიის არეალის გაფართოება.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, აგროდაზღვევის სახელმწიფო პროგრამა ითვალისწინებს მხოლოდ მოსავლის დაზღვევას, თუმცა 2014 წლის სასოფლო-სამეურნეო აღწერის მონაცემებზე დაყრდნობით, მეურნეობათა უმეტესობა ერთწლიანი და მრავალწლიანი კულტურების მოყვანასთან ერთად მეცხოველეობასაც მისდევს, ბოლო პერიოდში კი, პირუტყვის სულადობისა და ნამატის გათვალისწინებით, საკმაოდ მაღალია პირუტყვის დაცემის მაჩვენებელი (იხ: დანართი №2 და №3). აქედან გამომდინარე, საჭიროდ მიგვაჩნია აგროდაზღვევის პროგრამაში პირუტყვის დაზღვევის ჩართვა, რაც არა მხოლოდ გაზრდის

დაზღვევით მოსარგებლე ფერმერთა რაოდენობას, არამედ რისკების რეგიონების მიხედვით უკეთ გადანაწილებასაც გახდის შესაძლებელს.

**სადაზღვევო კომპანიები აგროდაზღვევის ბაზარზე.** აგროდაზღვევის ბაზრის განვითარებისთვის ძალიან მნიშვნელოვანია ბაზარზე სადაზღვევო კომპანიების ჩართულობის ამაღლება. როგორც ვნახეთ, აგროდაზღვევის სახელმწიფო პროგრამის ამოქმედებამდე ფერმერებს აგროდაზღვევის პროდუქტს მხოლოდ 4 სადაზღვევო კომპანია სთავაზობდა, 2020 წელს კი ქვეყანაში ლიცენზირებული 18 სადაზღვევო კომპანიიდან<sup>49</sup> პროგრამაში 7 კომპანია ჩაერთო. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ პროექტში მონაწილე სადაზღვევო კომპანიების რაოდენობა შარშანდელთან შედარებით შემცირდა. მიუხედავად ამისა, ადრინდელთან შედარებით სადაზღვევო კომპანიები აგროდაზღვევის მიმართულებით გააქტიურდნენ, თანამშრომლობა დაიწყეს საკრედიტო ინსტიტუტებთან და დღეისათვის შემდეგი სახის პროდუქტებს სთავაზობენ ფერმერებს:

1. **სადაზღვევო კომპანია „ალდაგი“** - „დაზღვევით მოსავალი ალდაგში და თავი ქუდში გაქვს“-ასეთი სლოგანით მოუწოდებს კომპანია ფერმერებს აგროდაზღვევის პროდუქტის შეძენას. კონკურენტი სადაზღვევო კომპანიებისგან განსხვავებით „ალდაგი“ ბენეფიციარებს კომპანიის წარმომადგენლების მიერ ზარალის შეფასებასა და ანაზღაურებას უმოკლეს ვადებში პირდება. აღსანიშნავია, რომ „ალდაგი“ აგროდაზღვევის პროგრამაში პროექტის შექმნის დღიდანაა ჩართული და ამ პერიოდის განმავლობაში ჯამში მოსავლის დაზღვევის მიმართულებით 15 მლნ ლარზე მეტი ზარალი აანაზღაურა.<sup>50</sup>

წელს, მაგალითად, გორის მუნიციპალიტეტში ფერმერს სეტყვის შედეგად ვაშლის მოსავლის 75% გაუნადგურდა, კომპანიამ კი კომპენსაციის სახით 80 000 ლარამდე გასცა. აღსანიშნავია, რომ ფერმერს 5 ჰა ფართობის დაზღვევისთვის 3 000 ლარი ქონდა გადახდილი, სახელმწიფო სუბსიდიის ოდენობა კი 7 000 ლარს შეადგენდა.<sup>51</sup>

გარდა მოსავლის დაზღვევისა, კომპანია ფერმერებს მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის დაზღვევის შესაძლებლობასაც აძლევს. სადაზღვევო პოლისი ითვალისწინებს

<sup>49</sup> წყარო: დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური.

<sup>50</sup> წყარო: <https://aldagi.ge/ka/siaxleebi/49/ganakhlebuli-agrodazgveva>

<sup>51</sup> წყარო: სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სააგენტო.

რვა თვიდან რვა წლის ასაკის ჩათვლით საქონლის დაზღვევას შემდეგი რისკებისგან: ბუნებრივი კატაკლიზმების შედეგად სიკვდილი, მიწისძვრა, წყალდიდობა, ქარიშხალი, მეხის დაცემა, ხანძარი, ჭრილობები, სხვა პირუტყვის ზემოქმედებით გამოწვეული ტრამვული დაზიანებები და ველური მხეცების მიერ დაგლეჯა, სიმაღლიდან ვარდნა, შემთხვევით გაგუღვა/დახრჩობა, ტრანსპორტის დაჯახება, ტრამვული პერიკარდიტი და ტიმპანია, ასევე ქურდობა, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დამნაშავე დადგენილია სასამართლოს განაჩენით. დაზღვევის მსურველებს შეუძლიათ შეიძინონ ერთ-ერთი შემდეგი ერთწლიანი პოლისებიდან: პოლისი 400 ლარიანი სადაზღვევო ანაზღაურების ლიმიტით 40 ლარად ან პოლისი 500 ლარიანი სადაზღვევო ანაზღაურების ლიმიტით 60 ლარად.<sup>52</sup>

„ალდაგში“ აგროდაზღვევის პოლისის შექმნა შეუძლიათ როგორც ფიზიკურ, ასევე იურიდიულ პირებს. ამასთან, სტანდარტული პაკეტის გარდა, კომპანია სთავაზობს მომხარებლებს ინდივიდუალურ სადაზღვევო პაკეტებს სპეციალურად ფერმერსა და მის მეურნეობაზე მორგებული პირობებით. მსურველებს შესაძლებლობა აქვთ „ალდაგის“ როგორც მოსავლის, ასევე პირუტყვის დაზღვევის პოლისები შეიძინონ „კრედო ბანკის“ ფილიალებში და ბანკის განვადებით ისარგებლონ.<sup>53</sup>

2. სადაზღვევო კომპანია „ჯი პი აი ჰოლდინგი“-„ჯი პი აი ჰოლდინგი“, „ალდაგის“ მსგავსად, აგროდაზღვევის პროგრამაში პროექტის შექმნის დღიდან მონაწილეობს. უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში კომპანიამ აგროდაზღვევის პროგრამის ფარგლებში 5 000-მდე ფერმერს 12 მლნ ლარამდე ზარალი აუნაზღაურა. 2019 წელს კომპანიაში დაფიქსირდა აგროდაზღვევის 800-მდე სადაზღვევო შემთხვევა, კომპენსაციის სახით კი 1,3 მლნ ლარამდე გაიცა.<sup>54</sup> 2018 წელს „ჯი პი აი ჰოლდინგსა“ და „ფინკა ბანკს“ შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა, რომელიც ფერმერებს „ჯი პი აი ჰოლდინგში“ მოსავლის დაზღვევის შემთხვევაში სპეციალური სადაზღვევო პირობებით, „ფინკა ბანკის“ 0%-ანი აგრო განვადებითა და აგრო სესხებზე შეღავათებით სარგებლობის

<sup>52</sup> წყარო: <https://aldagi.ge/ka/skhva-produktebi/74/pirutkvis-dazgveva>

<sup>53</sup> წყარო: <https://credobank.ge>

<sup>54</sup> წყარო: <https://www.newposts.ge/?l=G&id=230541>

შესაძლებლობას აძლევს. მოსავლის დაზღვევის განვადების ვადა 1-დან 9 თვე, საშეღავათო პერიოდი კი 8 თვემდეა. განვადების გაცემა ყოველგვარი უზრუნველყოფისა და თავდების გარეშე ხორციელდება. 2019 წელს „ჯი პი აი ჰოლდინგისა“ და „ფინკა ბანკის“ ერთობლივი თანამშრომლობით მოსავლის დაზღვევასთან ერთად მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის დაზღვევის პროექტიც დაიწყო.<sup>55</sup> კომპანიაში დაზღვევას 1-დან 10 წლამდე ასაკის პირუტყვი ექვემდებარება, სადაზღვევო პოლისით კი იფარება ისეთი რისკები, როგორცაა: უბედური შემთხვევის (ქარიშხალი, მეხის დაცემა, წყალდიდობა, ხანძარი) გამო პირუტყვის დაკვლის აუცილებლობა, დაბეჭილობით, თიაქართ, მოტეხილობითა და ჭრილობებით გამოწვეული ქირურგიული დაავადებები, ტიმპანია და ტრამვული პერიკარდიტი. დაზღვევის პერიოდი მოიცავს ერთ წელს, ხოლო ღირებულება თითოეულ საქონელზე 30 ლარს შეადგენს. თითოეულ საქონელზე ანაზღაურების ლიმიტია 300 ლარი+ხორცის ღირებულება.<sup>56</sup>

2020 წლის მაისში „ჯი პი აი ჰოლდინგმა“ თანამშრომლობის შეთანხმება „ლიბერთი ბანკთან“ გააფორმა. აღნიშნული შეთანხმება ერთწლიანი და მრავალწლიანი კულტურების მოსავლისა და მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის დაზღვევის პოლისების შექმნას 0%-ანი განვადებით, ყოველგვარი უზრუნველყოფის გარეშე ითვალისწინებს. განვადება ეხება როგორც სახელმწიფოს მიერ სუბსიდირებულ, ასევე არასუბსიდირებულ პროექტებს, პოლისების შექმნა კი როგორც ფიზიკურ, ასევე იურიდიულ პირებს შეუძლიათ „ლიბერთი ბანკის“ სერვისცენტრებში. განვადების მინიმალური თანხა 100 ლარით, ხოლო მაქსიმალური 5 000 ლარითაა განსაზღვრული, განვადების მოქმედების ვადა 3-დან 24 თვემდეა, საშეღავათო პერიოდი კი სეზონურობის მიხედვით დგინდება.<sup>57</sup>

3. „სადაზღვევო კომპანია ალფა“-„ალფა“ აგროდაზღვევის პროექტში 2017 წლიდან არის ჩართული და სამი წლის განმავლობაში 6 000 პოლისზე მეტი აქვს გაცემული.<sup>58</sup> გასულ წელს კომპანიამ აგროდაზღვევის ფარგლებში 2 000-ზე მეტი პოლისი გასცა და 1 000-მდე

<sup>55</sup> წყარო: <https://www.finca.ge>

<sup>56</sup> წყარო: [https://www.gpih.ge/gpih/other\\_insurance/Argo/standardpackagedrought.php](https://www.gpih.ge/gpih/other_insurance/Argo/standardpackagedrought.php)

<sup>57</sup> წყარო: <https://libertybank.ge/ka/productebi/chemi-biznesistvis/sesxebi/agro-dazgvevis-ganvadeba>

<sup>58</sup> წყარო: <https://commersant.ge/ge/post/6-atasze-meti-dazgveuli-nakveti-sadazgvevo-kompania-alfashi-agrodazgvevis-sezoni-welsac-aqtiurad-daiwyo-2>

ფერმერი დააზღვია. აღსანიშნავია, რომ 2019 წელი კომპანიისთვის აგროდაზღვევის მხრივ ზარალიანობით გამოირჩეოდა, რადგან აღნიშნული მიმართულებით მოზიდულმა პრემიამ დაახლოებით 1,6 მლნ ლარი, ანაზღაურებულმა ზარალმა კი 2 მილიონ ლარამდე შეადგინა.<sup>59</sup>

აღსანიშნავია, რომ „ალფა“ ფერმერებს ამჟამად მხოლოდ მოსავლის დაზღვევას სთავაზობს, თუმცა ახლო მომავალში გეგმავს ფრინველის, პირუტყვისა და თევზის დაზღვევის შეთავაზებასაც.<sup>60</sup>

4. სადაზღვევო კომპანია „არდი ჯგუფი“-„არდი ჯგუფი“ აგროდაზღვევის პროგრამას 2015 წლიდან შეუერთდა. კომპანია თანამშრომლობს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „კრისტალთან“, რომელიც მომხმარებლებს სადაზღვევო პრემიის იმ ნაწილზე, რომელზეც სუბსიდია არ ვრცელდება, 0%-ან განვადებას სთავაზობს და მოსავლის აღების შემდეგ გადახდის შესაძლებლობას აძლევს.<sup>61</sup>

5. „თიბისი დაზღვევა“-„თიბისი დაზღვევა“ აგროდაზღვევის პროექტში ჩაერთო 2018 წლიდან. გასულ წელს კომპანიამ 228 ფერმერს საერთო ჯამში 2 მილიონი ლარის ზარალი აუნაზღაურა. დაინტერესებულ პირებს სადაზღვევო პოლისის შექმნა „თიბისი ბანკის“ კახეთისა და შიდა ქართლის ფილიალებში შეუძლიათ.<sup>62</sup>

6. „ნიუ ვიჟენ დაზღვევა“-კომპანია ახალი მოთამაშეა ქართულ სადაზღვევო ბაზარზე, იგი 2020 წლის 20 თებერვალს შეიქმნა და აგროდაზღვევის პროექტშიც პირველად ჩაერთო. გარდა მოსავლის დაზღვევისა, კომპანია უახლოეს პერიოდში ფერმერებისთვის მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის, სათბურების, მაცივრებისა და სამაცივრე საწყობების დაზღვევის შეთავაზებას გეგმავს.<sup>63</sup>

მიუხედავად იმისა, რომ ნელ-ნელა იზრდება აგროდაზღვევის მიმართულებით როგორც ფერმერთა, ასევე კერძო სადაზღვევო კომპანიების დაინტერესება, აგროდაზღვევის 90%-ზე მეტი კვლავ სახელმწიფოს მიერ სუბსიდირებულ პროგრამაზე

<sup>59</sup> წყარო: <https://commersant.ge/ge/post/sadazgvevo-kompaniis-mier-2-milion-laramde-anazgaurebuli-fermerebis-zarali?>

<sup>60</sup> წყარო: <https://www.alpha.ge>

<sup>61</sup> წყარო: <https://ardi.ge>

<sup>62</sup> წყარო: <https://commersant.ge/ge/post/tibisi-dazgvevam-2019-wels-fermerebs-2-mln-laris-zarali-aunazgaura>

<sup>63</sup> წყარო: <https://nvi.ge/ka/377/agro>

მოდის (ი. კოვზანაძე 2019), რაც კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს, რომ ფერმერებს არ სურთ საკუთარი სახსრებით დაზღვევა, მაღალია სადაზღვევო კომპანიების მიმართ უნდობლობა, სადაზღვევო პოლისის შეძენას კი დამატებით ხარჯად მიიჩნევენ. დღესდღეობით ქართველ ფერმერთა დიდ ნაწილს აგრარული საქმიანობის წარმართვასთან დაკავშირებით შესაბამისი განათლებაც კი არ აქვს, სოფლის მეურნეობა კი მათთვის თავის გატანის საშუალება უფროა, ვიდრე მომგებიანი ბიზნესი.



# თავი მესამე. აგრარული სფეროს დაზღვევის საზღვარგარეთული გამოცდილება

## 3.1. აგროდაზღვევის გლობალური ბაზარი

უკანასკნელ პერიოდში მიმდინარე კლიმატის გლობალური ცვლილების, მავნებლებისა და დაავადებების გავრცელების, ასევე ფასების ხშირი რყევის ფონზე, მსოფლიოში განსაკუთრებით გაიზარდა სოფლის მეურნეობის დაზღვევაზე მოთხოვნა. 2014 წლის მონაცემებით, აგროდაზღვევის მიმართულებით მოზიდული გლობალური პრემია ჯამში დაახლოებით 31 მლრდ აშშ დოლარს გაუტოლდა, რაც 2005 წლის ანალოგიურ მაჩვენებელს 4-ჯერ აღემატება, საშუალო წლიურმა ზრდის ტემპმა კი 20% შეადგინა (A. Boissonnade 2015). 2017 წელს მთელ მსოფლიოში აგროდაზღვევის მიმართულებით მოზიდული იყო დაახლოებით 33 მლრდ აშშ დოლარის პრემია, აქედან 45%, ანუ დაახლოებით 15 მლრდ აშშ დოლარი, ჩრდილოეთ ამერიკის ქვეყნებზე მოდიოდა, 38% (დაახლოებით 12 მლრდ აშშ დოლარი) აზია-წყნაროკეანეთის რეგიონზე, 10% (3 მლრდ აშშ დოლარი) ევროპაზე, 7% (2 მლრდ აშშ დოლარი) სამხრეთ ამერიკაზე, 1%-ზე ნაკლები კი (დაახლოებით 200 მლნ აშშ დოლარი) აფრიკის ქვეყნებზე. ამასთან, მოზიდული პრემიების უდიდესი ნაწილი მხოლოდ სამ ქვეყანაზე მოდის: აშშ-ზე-35% (11,7 მლრდ აშშ დოლარი), ჩინეთზე-20% (6,7 მლრდ აშშ დოლარი) და ინდოეთზე-12% (3,8 მლრდ აშშ დოლარი), 33,8% ანუ 10,8 მლრდ აშშ დოლარი კი დანარჩენ მსოფლიოზე მოდის (D. Funa 2018). 2020 წელს გავრცელებული ახალი კორონავირუსის ფონზე კიდევ უფრო გამოიკვეთა სასურსათო უსაფრთხოების თვალსაზრისით მსოფლიოში სოფლის მეურნეობისა და მათ შორის დაზღვევის განვითარების მნიშვნელობა.

უნდა აღინიშნოს, რომ აგროდაზღვევის ბაზრის განვითარების უდიდესი პოტენციალით ისეთი ქვეყნები გამოირჩევიან, სადაც სოფლის მეურნეობის წილი მთლიან შიდა პროდუქტში მაღალია, ხოლო აგროსასურსათო პროდუქციის წარმოება

პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენს. ასეთ ქვეყნებს კი ძირითადად აფრიკისა და აზიის ქვეყნები მიეკუთვნება.

მსოფლიოში სოფლის მეურნეობის დაზღვევის 3 მოდელი ფუნქციონირებს: მოდელი, რომელშიც სახელმწიფოს დომინანტური პოზიცია უკავია ბაზარზე (მოქმედებს ინდოეთში, კანადაში, ირანში, საბერძნეთში, ფილიპინებზე და სხვ.); სახელმწიფო და კერძო სექტორის პარტნიორებაზე აგებული მოდელი (მოქმედებს ესპანეთში, თურქეთში, აშშ-ში, მექსიკაში, საფრანგეთში, იტალიაში და სხვ.) და მოდელი, რომელშიც დომინანტური პოზიცია ბაზარზე კერძო სექტორს უკავია (მოქმედებს ნიდერლანდებში, არგენტინაში, გერმანიაში, შვედეთში, ავსტრალიაში და სხვ.) (ა. ნონიაძე 2019).

კერძო სადაზღვევო კომპანიები ძირითადად ერთი რისკის (უმეტესად სეტყვა და ხანძარი) დაზღვევას სთავაზობენ ფერმერებს, სტიქიური მოვლენებისა და ეპიდემიური დაავადებების დაზღვევისგან კი თავს იკავებენ ამ რისკების სისტემური ხასიათიდან გამომდინარე. ასეთ შემთხვევაში ბაზარზე სახელმწიფოს მონაწილეობას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება.

როგორც მსოფლიო გამოცდილება ადასტურებს, სოფლის მეურნეობის დაზღვევა ყველაზე უკეთ სახელმწიფო მხარდაჭერის პირობებში ვითარდება. ისეთ განვითარებულ ქვეყნებში, როგორებიცაა აშშ, ესპანეთი, საფრანგეთი და იტალია, ცენტრალური მთავრობა უზრუნველყოფს სუბსიდიებს ფერმერთათვის და კერძო სადაზღვევო კომპანიებისთვის აგროდაზღვევის პროდუქტებთან დაკავშირებული მაღალი ადმინისტრაციული ხარჯების დასაფარად, ასევე სუბსიდირებულ გადაზღვევას. სადაზღვევო პრემიაში სუბსიდიის განაკვეთი განსხვავდება ქვეყნების მიხედვით და 30%-დან 80%-მდე მერყეობს. მისი ოდენობა დაზღვევის ტიპზე, დაზღვეული რისკების შემადგენლობაზე, ფერმერთა კატეგორიასა და მრავალ სხვა ფაქტორზეა დამოკიდებული. სუბსიდიები გაიცემა როგორც ცენტრალური, ასევე ადგილობრივი ბიუჯეტიდან (ა. ნონიაძე 2019), ევროკავშირში კი ფერმერთათვის სადაზღვევო პოლისების ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით, სუბსიდიები გაიცემა როგორც ეროვნული მთავრობის, ასევე საყოველთაო აგრარული პოლიტიკის (CAP-common agricultural policy)-ის ბიუჯეტიდან. თუმცა აქვე უნდა

აღინიშნოს, რომ სახელმწიფოს მიერ მხარდაჭერილი პროგრამები მაღალი ზარალიანობითა და მაღალი ფისკალური დანახარჯებით გამოირჩევა. უფრო მეტიც, დაზღვევის სახელმწიფო პროგრამების გამოყენება ხშირ შემთხვევაში ხელს უშლის კერძო სექტორს ახალი პროდუქტებისა და ინოვაციების დანერგვაში (C.M. Reyes et al. 2017).

მსოფლიოში აგროდაზღვევის ყველაზე გავრცელებული პროდუქტია მოსავლის მრავალი საფრთხისგან დაზღვევა (MPCI), მასზე მოდის მოზიდული პრემიების 74%, 16% უკავია მოსავლის სეტყვისგან დაზღვევას, 4%-პირუტყვის დაზღვევას, 3%-სუფთა სისხლის ცხოველების დაზღვევას, 1%-აკვაკულტურების დაზღვევას, 1%-ტყეების დაზღვევას და ასევე 1% პროცენტი სათბურების დაზღვევას.<sup>64</sup>

უმეტესწილად სოფლის მეურნეობის დაზღვევა არასავალდებულო ხასიათს ატარებს, თუმცა ზოგიერთ ქვეყანაში დაზღვევის ეს ფორმა ფერმერთათვის სავალდებულოა.

### **3.2. აგროდაზღვევის უცხოური გამოცდილება და პრაქტიკა**

მსოფლიოში სოფლის მეურნეობის დაზღვევის მრავალი განსხვავებული სქემა მოქმედებს და ამ კუთხით ფერმერთათვის შეთავაზებული პროდუქტებიც განსხვავებულია (იხ: დანართი №20).

ევროკავშირის ქვეყნებში მოსავლის დაზღვევა ბევრად უფრო გავრცელებულია, ვიდრე პირუტყვის დაზღვევა. მოსავლის დაზღვევის უმსხვილესი MPCI პროგრამები მოქმედებს საფრანგეთში, ესპანეთსა და იტალიაში, მაშინ როცა გერმანიაში განვითარებულია მარცვლეულის, ყურძნის, ხილისა და ბოსტნეულის მოსავლის სეტყვისგან დაზღვევის ბაზარი. ევროკავშირის ქვეყნებში მოქმედი მოსავლის დაზღვევის სისტემების სხვადასხვაობა ნაწილობრივ ამ ქვეყნების კულტურული და ისტორიული განსხვავებებით აიხსნება. მაგალითად, უნგრეთსა და პოლონეთში მოსავლის დაზღვევა

---

<sup>64</sup> წყარო: Agricultural insurance: products and schemes. Atlas Magazine, 14.06.2017. Retrieved 12.03.2020, from <https://www.atlas-mag.net/en/article/agricultural-insurance-products-and-schemes>

ნაწილობრივ სავალდებულოა. უნგრელი ფერმერები ვალდებულნი არიან შეიძინონ სადაზღვევო პოლისი, თუ მათი მეურნეობა მარცვლეული კულტურების შემთხვევაში 10 ჰექტარს, ბოსტნეულის შემთხვევაში კი 5 ჰექტარს აღემატება. პოლონეთში 2005 წელს მიღებული კანონით, ის ფერმერები, რომლებიც ევროკავშირის პირდაპირ დაფინანსებას იღებენ, ვალდებულნი არიან დააზღვიონ ნათესი ფართობების მინიმუმ ნახევარი. ნიდერლანდებში აგროდაზღვევის ბაზარზე სახელმწიფო საერთოდ არ ერევა. კერძო სადაზღვევო კომპანიები ფერმერებს მოსავლის სეტყვისგან დაზღვევას სთავაზობენ, მოსავლის მრავალი საფრთხისგან დაზღვევის შეთავაზება კი ურთიერთდახმარების ფონდების საშუალებით ხორციელდება.

ევროკავშირში ინდექსირებული დაზღვევის მხოლოდ რამდენიმე პროდუქტია ხელმისაწვდომი, მაგალითად ავსტრიაში ინდექსზე დაფუძნებული დაზღვევით შესაძლებელია ზოგიერთი მარცვლეული კულტურის მოსავლის გვალვისგან დაზღვევა.

ევროკავშირის ზოგიერთ ქვეყანაში (მაგ: დანიაში, გერმანიაში, უნგრეთში, იტალიაში, ნიდერლანდებში, ესპანეთში) დაინერგა ფიტოსანიტარული რისკების დაზღვევაც (ძირითადად კარტოფილისთვის), როგორც მოსავლის კლიმატური რისკებისგან დაზღვევის დანამატი (M. Meuwissen 2018).

ევროკავშირის ქვეყნებში გავრცელებულია ასევე პირუტყვის დაზღვევაც, თუმცა ამ მხრივ გამოირჩევა გერმანია, სადაც კერძო სადაზღვევო სისტემა მოქმედებს და ბაზარზე ორი ტიპის პროდუქტია ხელმისაწვდომი. ერთ შემთხვევაში პოლისით იფარება ცხოველის სიკვდილი სხვადასხვა დაავადების გამო, მეორე შემთხვევაში კი დაზღვევა ანაზღაურებს ხანძრის, უბედური შემთხვევის, ეპიდემიური დაავადებების გამო წარმოების შეჩერებით გამოწვეულ დანაკარგებს (C.M. Reyes et al. 2017). პირუტყვის დაზღვევა ფართოდ გავრცელებულია ესპანეთშიც, სადაც დაზღვევის ნებაყოფლობითი, სახელმწიფოს მხირდან მხარდაჭერილი სისტემა მოქმედებს. ნიდერლანდებში კერძო ურთიერთდახმარების ფონდები იმ ფერმერებს, რომლებიც ფრინველის ბროილერებში მოშენებას მისდევენ, ფრინველის სხვადასხვა დაავადებისგან დაზღვევის შესაძლებლობას აძლევენ (M. Meuwissen 2018).

ევროკავშირის ქვეყნებს შორის ერთ-ერთი ყველაზე განვითარებული და დახვეწილი სადაზღვევო სისტემა ესპანეთში მოქმედებს. ესპანეთი აგროდაზღვევის მიმართულებით მოზიდული პრემიების მოცულობით მსოფლიოს წამყვან ქვეყნებში შედის აშშ-თან, კანადასა და იაპონიასთან ერთად. ესპანეთში დაზღვევით სარგებლობს ფერმერული მეურნეობების 70%-ზე მეტი, დაზღვეულია მცენარეული კულტურების დაახლოებით 90% და ცხოველების 70%.

ესპანეთის აგროდაზღვევის სისტემის ძირითადი მახასიათებლებია:

1) სახელმწიფოს როლი სისტემაში უპირველეს ყოვლისა სადაზღვევო პრემიების სუბსიდირებაში, გადაზღვევაში მონაწილეობაში, მეთოდოლოგიურ და საინფორმაციო მხარდაჭერასა და სადაზღვევო ოპერაციების განხორციელების მონიტორინგში მდგომარეობს;

2) დაზღვევას ახორციელებენ ერთობლივი პასუხისმგებლობის საფუძველზე მოქმედი კერძო სადაზღვევო ორგანიზაციები;

3) აგროდაზღვევა ქვეყანაში ნებაყოფლობითია, თუმცა თუკი ფერმერი მასზე უარს იტყვის, კარგავს სახელმწიფოს მიერ მხარდაჭერილ სხვა პროგრამებში მონაწილეობის უფლებას;

4) დაზღვევის არსებობა გამორიცხავს ფერმერთათვის პირდაპირი სახელმწიფო დახმარების საჭიროებას კატასტროფული რისკების მოხდენის შემთხვევაში.

აგროდაზღვევის სისტემა ემყარება თანამშრომლობას სოფლის მეურნეობის დაზღვევის ეროვნულ სააგენტოსა (Entidad Estatal de Seguros Agrarios - ENESA) და სადაზღვევო კომპანიების გაერთიანებას შორის (Agroseguro), სისტემაში აქტიურად არიან ასევე ჩართულნი ფერმერთა გაერთიანებები.

ENESA ესპანეთის სოფლის მეურნეობის სამინისტროს ექვემდებარება და მის ძირითად ფუნქციებში შედის აგროდაზღვევის გეგმის შემუშავება, ბიუჯეტიდან სუბსიდიების გაცემა, დაზღვევის მონაწილეებს შორის უთანხმოების არსებობის შემთხვევაში მისი განხილვა და მოგვარება, სადაზღვევო პროგრამების შესრულების მონიტორინგი და მათი ეფექტიანობის დასადგენად კვლევების ჩატარება.

აგროდაზღვევის გეგმები მუშავდება ერთ და სამწლიან პერიოდებზე და მტკიცდება ესპანეთის სოფლის მეურნეობის, ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროების მიერ. მათში ჩამოთვლილია სადაზღვევო პროდუქტების ტიპები, სახელმწიფო სუბსიდიის ზომა, სადაზღვევო ხელშეკრულების პირობები და სხვა სადაზღვევო პარამეტრები.

Agroseguro-ს აქციონერები არიან მზღვეველები და ასევე სახელმწიფო, რომელიც წარმოდგენილია სადაზღვევო გადახდების კონსორციუმის სახით (Consortio de Compensacion de Seguros — CCS). Agroseguro-ს ფუნქციებში შედის დაზღვევის პირობების შემუშავება, რეგიონების მიხედვით სადაზღვევო ტარიფების გამოთვლა, სადაზღვევო შემთხვევების დადგომისას ზარალის დარეგულირება, სახელმწიფო სუბსიდიის მიღება სადაზღვევო პრემიის ნაწილის დასაფარად. რისკების გადაზღვევა ხორციელდება როგორც CCS-ში, ასევე საერთაშორისო გადაზღვევის ბაზარზე.

Agroseguro-ში მონაწილე სადაზღვევო კომპანიების (მათი რიცხვი რამდენიმე ათეულია და ყოველწლიურად იცვლება) ფუნქციებში შედის მხოლოდ სადაზღვევო ხელშეკრულებების გაფორმება. ამავე დროს, მზღვეველები იღებენ სადაზღვევო პასუხისმგებლობას საკუთარ თავზე იმავე პროპორციით, როგორცაა მათი წილი Agroseguro-ს სააქციო კაპიტალში. ზიანის შეფასება და გასაცემი კომპენსაციის ოდენობის განსაზღვრა ხორციელდება დამოუკიდებელი ექსპერტების მიერ, რომელთაც ხელშეკრულება აქვთ გაფორმებული და გადამზადებულნი არიან Agroseguro-ს მიერ.

სადაზღვევო პრემიის სუბსიდირებას სახელმწიფო ახდენს როგორც მოსავლის, ასევე ცხოველების დაზღვევის შემთხვევაში. სუბსიდიის განაკვეთი შესაძლოა წლიურად განსხვავდებოდეს, თუმცა საშუალოდ შეადგენს სადაზღვევო პრემიის 50%-ს, საიდანაც 40% სახელმწიფო ბიუჯეტიდან, 10% კი ადგილობრივი ბიუჯეტებიდან გადაიხდება. სუბსიდიის ოდენობა დამოკიდებულია ასევე დაზღვევის ობიექტზე.

მემცენარეობის სექტორში არსებობს როგორც ერთი რისკის, ასევე მრავალი საფრთხისგან დაზღვევა და ინდექსირებული დაზღვევა, თუმცა ყველაზე მოთხოვნადია მრავალი საფრთხისგან დაზღვევა, რომლითაც დაზღვეული მოსავლის ღირებულების 70%-მდე იფარება (Ю. А. Сплетухов 2018).

ესპანეთის მსგავსი და ასევე საკმაოდ წარმატებული აგროდაზღვევის მოდელი მოქმედებს თურქეთშიც. აქაც სისტემა საჯარო და კერძო სექტორის პარტნიორობაზეა აგებული. აღნიშნულ მოდელს თურქეთში 2005 წელს ჩაეყარა საფუძველი, როდესაც ქვეყანაში მიიღეს კანონი აგროდაზღვევის შესახებ. ესპანეთის მსგავსად, თურქეთშიც მოქმედებს აგროდაზღვევის პული-TARSIM. პულს მართავს დირექტორთა საბჭო, რომელიც შედგება მთავრობის (სოფლის მეურნეობისა და ფინანსთა სამინისტრო), არასამთავრობო ორგანიზაციების (თურქეთის სოფლის მეურნეობის პალატათა კავშირი და თურქეთის სადაზღვევო კომპანიათა ასოციაცია) და კერძო სექტორის (Agricultural Insurance Pool Management Company Inc.) წარმომადგენლებისგან. დირექტორთა საბჭო შეიმუშავებს და აკონტროლებს სადაზღვევო პულის მუშაობის პრინციპსა და პროცედურებს, რომელთაც აგროდაზღვევის პულის მმართველი კომპანია (Agricultural Insurance Pool Management Company Inc.) ახორციელებს. მმართველი კომპანია პულში მონაწილე 24 სადაზღვევო კომპანიას აერთიანებს, რომლებსაც კომპანიის სააქციო კაპიტალში თანაბარი წილი აქვთ. იგი ასრულებს პულის საბჭოს მიერ მიღებულ ყველა გადაწყვეტილებას, მართავს პულის რესურსებს ინვესტიციების განხორციელებისთვის, ახდენს სადაზღვევო პრემიების მოზიდვას, ზარალის შეფასებასა და დარეგულირებას, აქტუარულ სწავლებას. მის ფუნქციებში შედის ასევე მონაცემთა მართვა, კვლევა და სადაზღვევო პროდუქტების განვითარება, საზოგადოებასთან ურთიერთობა და პროდუქტის პოპულარიზაცია (N. İÇER 2014).

მიუხედავად იმისა, რომ სადაზღვევო კომპანიები პოლისებს საკუთარი სახელით გასცემენ, რისკი და პრემიის 100% აგროდაზღვევის პულს გადაეცემა. ფერმერები აგროდაზღვევის პროგრამაში მონაწილეობისთვის უნდა დარეგისტრირდნენ ფერმერთა რეგისტრაციის სისტემაში ან განაახლონ თავიანთი რეგისტრაცია. სახელმწიფო ახდენს სადაზღვევო პრემიის 50%-ის სუბსიდირებას. დაზღვევას ექვემდებარება მოსავალი, სათბურები, მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი, ცხვარი და თხა, შინაური ფრინველები,

აკვაკულტურა და ფუტკრის სკები, თუმცა ყველაზე მოთხოვნადი პროდუქტია მოსავლის დაზღვევა.<sup>65</sup>

როგორც უკვე აღვნიშნეთ, სოფლის მეურნეობის დაზღვევის მიმართულებით მოზიდული პრემიების მოცულობით აშშ-ს მსოფლიოში პირველი ადგილი უკავია. ქვეყანაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის 70%-ზე მეტი დაზღვეულია, აგროდაზღვევის პროდუქტებით კი ფერმერთა 50%-ზე მეტი სარგებლობს.

აშშ-ის აგროდაზღვევის სისტემაც საჯარო და კერძო სექტორის პარტნიორობაზეა აგებული. ყველა სადაზღვევო პროგრამა მუშავდება და რეგულირდება რისკების მართვის სააგენტოს (RMA) მიერ, რომელიც სოფლის მეურნეობის დეპარტამენტს ექვემდებარება. თავის მხრივ, რისკების მართვის სააგენტოს დაქვემდებარებაში შედის მოსავლის დაზღვევის ფედერალური კორპორაცია (FCIC), რომელიც შეიმუშავებს როგორც სადაზღვევო ხელშეკრულებების პირობებსა და სადაზღვევო ტარიფებს, ასევე თვალყურს ადევნებს პროგრამებში ჩართული სადაზღვევო კომპანიების საქმიანობას და ახორციელებს მათთვის სახელმწიფო ბიუჯეტიდან სუბსიდიების გადახდას.

აგროდაზღვევის სახელმწიფო პროგრამებში ჩართვა მხოლოდ იმ სადაზღვევო კომპანიებს შეუძლიათ, რომლებიც აკრედიტაციის მოთხოვნებს აკმაყოფილებენ. ფერმერს დაზღვევაზე უარის თქმა ავტომატურად ართმევს სტიქიური უბედურების ან სხვა გაუთვალისწინებელი ზარალის დროს სახელმწიფო მხარდაჭერის მიღების უფლებას.

სადაზღვევო კომპანიების მიერ მიღებული რისკები გადაზღვეულია როგორც შიდა, ასევე საერთაშორისო გადაზღვევის ბაზრებზე, ამასთანავე, რისკების ნაწილი გადაეცემა სახელმწიფო გადაზღვევის ფონდს. დაზღვევით დაფარული ძირითადი რისკებია გვალვა (53%), წყალდიდობა (23%) და ყინვა (6%).

ქვეყანაში გავრცელებულია მოსავლის როგორც ერთი რისკის, ასევე მრავალი საფრთხისგან (MPCI) დაზღვევა, პირუტყვის, შემოსავლის და ინდექსირებული დაზღვევის პროდუქტები.

---

<sup>65</sup> წყარო: <https://web.tarsim.gov.tr/havuz/homePageEng>



მრავალი საფრთხისგან (MPCI) დაზღვევა ფარავს უარყოფითი კლიმატური მოვლენებით გამოწვეულ მოსავლის დანაკარგებს, მისი ძირითადი სახეა კატასტროფული რისკების დაზღვევა (CAT). დამზღვევთა შენატანები CAT პროგრამაში შემოიფარგლება მხოლოდ ადმინისტრაციული გადასახადით-300 აშშ დოლარით თითოეული სასოფლო-სამეურნეო კულტურის დაზღვევისთვის, თუმცა ის ფერმერები, რომელთა შემოსავალი წინა ორი წლის განმავლობაში არ აღემატება 20 000 აშშ დოლარს, თავისუფლდებიან ამ გადასახადისგან.

სადაზღვევო შემთხვევას დაზღვევის ამ ვარიანტში წარმოადგენს მოსავლიანობის შემცირება 50%-ზე მეტად ბოლო 5-10 წლის განმავლობაში არსებული საშუალო მოსავლიანობიდან ან კორექტირებული საშუალო მოსავლიანობიდან, რაც მეურნეობაში მოწინავე ტექნოლოგიური მიღწევების გამოყენების გათვალისწინების შესაძლებლობას იძლევა. სადაზღვევო გადახდების ზომა იანგარიშება როგორც საშუალო მოსავლიანობის 50%-სა და ფაქტობრივი მოსავლის სხვაობის ნამრავლი RMA-ს მიერ თითოეული კულტურისთვის განსაზღვრული ფასის 55%-ზე. სადაზღვევო დაფარვის გასაზრდელად ფერმერებს შეუძლიათ გააფორმონ დამატებითი ხელშეკრულება. ამ შემთხვევაში სადაზღვევო დაფარვის დონე იზრდება საშუალო მოსავლიანობის (ან კორექტირებული საშუალო მოსავლიანობის) 75%-მდე (ზოგიერთი კულტურის შემთხვევაში 85%-მდე), ხოლო ფასი კომპენსაციის ზომის განსაზღვრისთვის-RMA-ს მიერ თითოეული კულტურისთვის დადგენილი ფასის 100%-მდე. თუმცა სადაზღვევო დაფარვის დონის მატებასთან ერთად, სადაზღვევო პრემიაში სახელმწიფოს თანამონაწილეობა მცირდება 67%-დან 38%-მდე.

შემოსავლის დაზღვევის პროგრამების მთავარი მახასიათებელია ის, რომ იცავს ფერმერს არა მხოლოდ მოსავლიანობის, არამედ ფასების დონის შემცირებისგან. აშშ-ში ამჟამად მოქმედი შემოსავლის დაზღვევის პროგრამები განსხვავდება დაზღვევის ობიექტით (ცალკეული კულტურებიდან მიღებული შემოსავლი ან მთელი მეურნეობის მიერ მიღებულ შემოსავალი), სადაზღვევო დაფარვის დონით და ფასების განსაზღვრის პროცედურით.

მოსავლის რეგიონული ინდექსირებული დაზღვევის დროს სადაზღვევო ანაზღაურების გაცემა დაკავშირებულია კონკრეტულ რეგიონში საშუალო მოსავლიანობის გარკვეულ ზღურბლს ქვემოთ დაცემასთან. ეს ზღურბლი შეიძლება იყოს რეგიონში საშუალო მოსავლიანობის 70%-დან 90%-მდე. ამ შემთხვევაშიც სადაზღვევო დაფარვის მატებასთან ერთად სადაზღვევო პრემიაში სახელმწიფოს თანამონაწილეობის წილი მცირდება (Ю. А. Сплетухов 2018).

კანადაში ფერმერთა დაახლოებით 55% სარგებლობს აგროდაზღვევით და დაზღვეულია სასოფლო-სამეურნეო კულტურების 70%-ზე მეტი. კერძო სადაზღვევო კომპანიები ფერმერებს სთავაზობენ სახელადი საფრთხისგან დაზღვევას (ძირითადად სეტყვისგან და ხანძრისგან), თუმცა ბაზარზე დომინირებს სახელმწიფოს მიერ სუბსიდირებული სადაზღვევო ოპერაციები.

სახელმწიფოს მიერ სუბსიდირებული აგროდაზღვევის პროგრამების საკანონმდებლო ბაზას წარმოადგენს ფერმის შემოსავლის დაცვის შესახებ კანონი (Farm Income Protection Act). ამ პროგრამებს კოორდინაციას უწევს სოფლის მეურნეობის დაზღვევის ეროვნული სააგენტო, რომელიც კანადის სოფლის მეურნეობის სამინისტროს ექვემდებარება.

უშუალოდ სადაზღვევო ოპერაციებს ახორციელებენ ქვეყნის თითოეულ პროვინციაში განლაგებული სახელმწიფო კორპორაციები, რომლებიც სოფლის მეურნეობის სამინისტროს ექვემდებარება და რომელთა ფუნქციებშიც შედის ფერმერთათვის სადაზღვევო, დაკრედიტების და სხვა ფინანსური მომსახურების გაწევა.

კორპორაციები რისკების გადაზღვევას ახორციელებენ როგორც რეგიონულ, ასევე ფედერალურ დონეზე და საერთაშორისო გადაზღვევის ბაზრებზე. ფედერალური მთავრობა გადაზღვევას ახდენს ექსცედენტის პრინციპით, ანუ იგი ზარალს ანაზღაურებს იმ შემთხვევაში, თუკი სადაზღვევო გადახდების დონე შეთანხმებულ ლიმიტს აღემატება.

სახელმწიფოს მიერ სუბსიდირებული სოფლის მეურნეობის დაზღვევის განხორციელების წესი ემყარება სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ შემუშავებულ ზოგად მეთოდოლოგიასა და რეკომენდაციებს, თუმცა თითოეული რეგიონისთვის

მისთვის დამახასიათებელი რისკებიდან, წარმოების სფეროდან და თავისებურებებიდან, ასევე ფერმერთა გადახდისუნარიანობიდან გამომდინარე, კორპორაციების მიერ მუშავდება დაზღვევის ინდივიდუალური პირობები და სადაზღვევო ტარიფები.

სუბსიდირებულ დაზღვევას ექვემდებარება როგორც ერთწლიანი, ასევე მრავალწლიანი კულტურების მოსავალი და ცხოველები.

დაზღვევის ყველაზე პოპულარული პროდუქტია სასოფლო-სამეურნეო კულტურების მრავალი საფრთხისგან დაზღვევა, თუმცა ფერმერებს ასევე სთავაზობენ შემოსავლის დაზღვევას, ამინდისა და მოსავლიანობის ინდექსირებულ დაზღვევას, ერთი რისკის დაზღვევას.

მოსავლიანობის დონე განისაზღვრება წინა 5-15 წლის საშუალო მოსავლიანობის საფუძველზე კონკრეტული მეურნეობის ან რეგიონის მიხედვით. დამზღვევებს შეუძლიათ აირჩიონ სადაზღვევო დაფარვის დონე სავარაუდო მოსავლიანობის 50%-90%-ის ფარგლებში. მოსავლის ღირებულება იანგარიშება პროდუქციის საშუალო საბაზრო ფასზე, წარმოების დანახარჯებზე და სხვ. დაყრდნობით. საბიუჯეტო სუბსიდიის დონე დამოკიდებულია დაზღვევის დაფარვის დონეზე და საშუალოდ სადაზღვევო პრემიის 60%-ს შეადგენს. სუბსიდიის ყველაზე მაღალი განაკვეთი ეხება დაზღვევას, რომელიც ფარავს კატასტროფულ რისკებს. ის კულტურები, რომელთათვისაც შესაძლებელია ასეთი დაზღვევის გამოყენება, დგინდება ცალკეული პროვინციის მიხედვით.

სუბსიდია გადაიხდება პირდაპირ კორპორაციებზე. პრემიის 60% ფინანსდება ფედერალური, ხოლო 40% პროვინციის ბიუჯეტიდან. ამჟამად ქვეყნის მთავარ ამოცანას წარმოადგენს სადაზღვევო პრემიაში დამზღვევის მიერ გადახდილი წილის გაზრდა და სახელმწიფოს თანამონაწილეობის შემცირება.

ქვეყანაში სოფლის მეურნეობის დაზღვევა ნებაყოფლობითია, თუმცა თუკი ფერმერი უარს იტყვის სადაზღვევო პროგრამაში მონაწილეობაზე, დაკარგავს სახელმწიფოს მიერ მხარდაჭერილი და სუბსიდირებული სხვა პროგრამებით სარგებლობის შესაძლებლობას (Ю. А. Сплетухов 2018).

რაც შეეხება განვითარებად ქვეყნებს, მათი გამოცდილებაც ადასტურებს, რომ სოფლის მეურნეობის დაზღვევის განვითარებისთვის აუცილებელია ფერმერებს, საფინანსო ინსტიტუტებსა და მთავრობას შორის ურთიერთდობისა და თანამშრომლობის მიღწევა და რისკების მართვის ეფექტური სისტემის შექმნა. სახელმწიფოს შეუძლია დიდი წვლილი შეიტანოს ფერმერთა სადაზღვევო კულტურის ჩამოყალიბებასა და სადაზღვევო კომპანიებისადმი ნდობის ამაღლებაში. აგროდაზღვევის ბაზრის განვითარებას ხელს უწყობს ასევე სადაზღვევო კომპანიებსა და საკრედიტო დაწესებულებებს შორის თანამშრომლობის მიღწევა. მაგალითად ბანკებს შეუძლიათ სესხის გაცემისთვის დაზღვევა სავალდებულო გახადონ, რაც მსოფლიოში საკმაოდ გავრცელებულ პრაქტიკას წარმოადგენს, თუმცა დიდი სიფრთხილს გამოჩენაა საჭირო, რადგან ამგვარმა პრაქტიკამ შესაძლოა სადაზღვევო კომპანიებისთვის ზარალიანობა მნიშვნელოვნად გაზარდოს (თ. ვერულავა, ნ. ოზგაიძე 2015).

## დასკვნები და რეკომენდაციები

საქართველოს აგროდაზღვევის ბაზარზე პრობლემებია როგორც სადაზღვევო პროდუქტზე მოთხოვნის, ასევე მიწოდების თვალსაზრისით. მიუხედავად იმისა, რომ აგროდაზღვევის სახელმწიფო პროგრამის ამოქმედების შემდეგ სიტუაცია შედარებით გაუმჯობესდა, აგროდაზღვევის წილი მთლიან სადაზღვევო სექტორში მნიშვნელოვნად ჩამორჩება დარგის წილს ქვეყნის მთლიან შიდა პროდუქტში, აგროდაზღვევით ფერმერთა მცირე რაოდენობა სარგებლობს, გაყიდული პოლისების 90%-ზე მეტი კი სუბსიდირებულ პროგრამაზე მოდის, რაც ხაზს უსვამს იმ ფაქტს, რომ ფერმერებს არ სურთ საკუთარი სახსრებით დაზღვევა.

როგორც საზღვარგარეთული გამოცდილება ადასტურებს, აგროდაზღვევა, დარგის სპეციფიკიდან და მაღალრისკიანობიდან გამომდინარე, ყველაზე უკეთ ბაზარზე სახელმწიფოს ჩართულობისა და მხარდაჭერის პირობებში ვითარდება. სწორად ფორმირებულ და მართულ საჯარო და კერძო პარტნიორობაზე აგებულ სქემებს აგროდაზღვევის განვითარების მიმართულებით სერიოზული ეფექტების მიღწევა შეუძლია. აგროდაზღვევის პროგრამის ამოქმედებით და სადაზღვევო პრემიების სუბსიდირებით სახელმწიფო მხარდაჭერის დადებითი პრეცედენტი უკვე არსებობს, თუმცა პროგრამაში არსებული პრობლემების მოგვარებისა და ბაზრის განვითარებისთვის მიზანშეწონილად მიგვაჩნია:

- აგრარულ სფეროში ფერმერთა ცოდნის დონისა და დაზღვევის კულტურის ამაღლება. ფერმერთა უმეტესობას არ გააჩნია სათანადო ცოდნა იმის შესახებ, თუ როგორ ებრძოლონ სწორად მავნებლებსა თუ დაავადებებს, როგორ დაიცვან მოსავალი სტიქიისგან, რა მოცულობით შეიტანონ სასუქი მიწაზე, როგორ დაასვენონ მიწა, რომელ ტერიტორიაზე რა სახის ნარგავები გააშენონ უხვი მოსავალის მისაღებად. დღეს ფერმერები ცდილობენ აწარმოონ ის, რაც მოსწონთ და არა ის, რისი წარმოებაც მიზანშეწონილია მოცემულ ტერიტორიაზე და რაც მათ რეალურად მოგებას მოუტანს. კვლავ პრობლემად რჩება მოსახლეობაში აგროდაზღვევის

კულტურის დაბალი დონე, აგროდაზღვევით მოსარგებლე ფერმერთა რაოდენობა საკმაოდ ნელი ტემპით იზრდება. გაცემული პოლისების უდიდესი ნაწილი კახეთზე მოდის, ზოგიერთ რეგიონში კი აგროდაზღვევის შეღწევადობა კვლავ ძალიან დაბალია. მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფო სადაზღვევო პრემიის დიდი ნაწილის სუბსიდირებას ახდენს, ფერმერებს პოლისის შექმნა არ სურთ, სტიქიის შედეგად გამოწვეული ზარალის ანაზღაურებას კი სახელმწიფოსგან ითხოვენ, რაც არა მხოლოდ არასწორ პრაქტიკას წარმოადგენს, არასამართლიანიც იქნება იმ ფერმერთა მიმართ, რომლებიც აგროდაზღვევის პოლისის შესაძენად ფულს იხდიან, რაც ისევ და ისევ ბაზრის განვითარებას შეუშლის ხელს.

- სადაზღვევო კულტურასთან ერთად დაბალია მოსახლეობაში სადაზღვევო კომპანიებისადმი ნდობა, ასევე სადაზღვევო კომპანიებისა და სადაზღვევო პროდუქტების ცნობადობა. მნიშვნელოვანია სადაზღვევო კომპანიები გააქტიურდნენ ამ თვალსაზრისით და იზრუნონ აგროდაზღვევის პროდუქტების პოპულარიზაციაზე, ფერმერთა ნდობის მოპოვებაზე. აუცილებელია მარკეტინგული კვლევების ჩატარებაც, რათა შეთავაზებული პროდუქტები მაქსიმალურად მოერგოს როგორც ფერმერთა მოთხოვნებს, ასევე მათ გადახდისუნარიანობას.
- მნიშვნელოვანია ბაზარზე სადაზღვევო კომპანიების ჩართულობის ამაღლება, რათა კონკურენცია გაიზარდოს და პროდუქტები უფრო მრავალფეროვანი გახდეს. ქვეყანაში ლიცენზირებული 18 სადაზღვევო კომპანიიდან აგროდაზღვევას ფერმერებს მხოლოდ რამდენიმე სთავაზობს, შეთავაზებული პროდუქტები კი საკმაოდ მწირი და ერთფეროვანია. სადაზღვევო კომპანიები უნდა ცდილობდნენ ამ მიმართულებით სიახლეების დანერგვას და ინოვაციური პროდუქტების შეთავაზებას. მაგალითად, საზღვარგარეთ პოპულარული ხდება შემოსავლის დაზღვევა, ასევე ინდექსირებული დაზღვევა, რომელსაც ის უპირატესობა აქვს, რომ გაანგარიშებული ინდექსები უდავოა და დაზღვეულის მხრიდან რაიმე სახის პრეტენზიას გამოიწვევს, ამასთან, გამოირიცხება მორალური რისკის საფრთხეც, რის გამოც, დაზღვევის სხვა ტრადიციული ფორმებისგან განსხვავებით, ფრანშიზას

დაწესებას არ საჭიროებს. თუმცა ინდექსების გათვლა საკმაოდ რთულია, რადგან სატელიტური სურათებით, ჰიდრომეტეოროლოგიური ჩანაწერებით ხორციელდება, ამიტომ აუცილებელია მონაცემთა შეგროვებისა და მართვის შესაბამისი სისტემების განვითარება.

- აგროდაზღვევა დაზღვევის სპეციფიური სახეა, რომელიც სპეციალურ აგროცოდნას მოითხოვს. გამომდინარე აქედან, მნიშვნელოვანია ამ სფეროში დასაქმებული კადრებისა და ექსპერტების გადამზადება და კვალიფიკაციის ამაღლება, რაც არა მხოლოდ მომსახურების ხარისხზე აისახება, ზიანის შეფასებასთან დაკავშირებით ფერმერთა უკმაყოფილებასაც შეამცირებს. მაღალი დონის სპეციალისტების მომზადებისთვის სადაზღვევო კომპანიებთან ერთად აუცილებელია სახელმწიფოს გააქტიურებაც.
- აგროდაზღვევის განვითარებას ხელს უშლის იმ სტატისტიკური მონაცემების სიმწირე, რომლებიც სადაზღვევო პროდუქტის შემუშავებისა და პოლისის ფასის ზუსტად განსაზღვრისთვისაა აუცილებელი. მნიშვნელოვანია აგრო-მეტეოროლოგიური მონაცემების შეგროვებისა და მართვის სისტემების განვითარება, რათა დაზღვეული რისკების ჩამონათვალი გაფართოვდეს (მაგალითად აგროდაზღვევის პროგრამას დაემატოს გვალვა და საგაზაფხულო ყინვები) და ამ მიმართულებით დაზღვევის ღირებულება სწორად შეფასდეს. აღნიშნული ინფორმაციის შეგროვებაში, ერთიან ბაზაში თავმოყრასა და სადაზღვევო კომპანიებისთვის ხელმისაწვდომობის ზრდაში უდიდესი მნიშვნელობა სახელმწიფოს ენიჭება.
- აგროდაზღვევის პროდუქტები უნდა შემუშავდეს თითოეული რეგიონისა და კულტურების მახასიათებლების გათვალისწინებით, რადგან ქვეყანაში არსებული კლიმატური ზონების მრავალფეროვნების გამო, რეგიონებისთვის დამახასიათებელი ძირითადი რისკ-ფაქტორები და მცენარეთა ზრდის ვეგეტატიური სურათი განსხვავდება, შედეგად კი სახეზე გვაქვს დღეს ის ფაქტი, რომ ზოგიერთ რეგიონში ზარალიანობის მაჩვენებელი 100%-ს აჭარბებს,

ზოგიერთში კი პირიქით, ძალიან დაბალია. თითოეულ რეგიონზე მორგებული პროდუქტის შემუშავება არა მხოლოდ გაზრდის აგროდაზღვევაზე მოთხოვნას, არამედ რისკის უკეთ გადანაწილებისა და ზარალიანობის შემცირების საშუალებასაც მოგვცემს, ეს კი, საბოლოოდ, სადაზღვევო პოლისის ღირებულებაზე აისახება.

- პრობლემებია მეცხოველეობის დარგის დაზღვევასთან დაკავშირებით. ბოლო პერიოდში, პირუტყვის სულადობისა და ნამატის გათვალისწინებით, დანაკარგი მაღალია, თუმცა დაზღვევის ეს მიმართულება ძალიან ნელი ტემპით ვითარდება. გამომდინარე აქედან, მიზანშეწონილია აგროდაზღვევის სახელმწიფო პროგრამაში პირუტყვის დაზღვევის ჩართვა.
- სისტემური რისკების დაზღვევასთან დაკავშირებით აუცილებელია გადაზღვევის ბაზრებზე წვდომა, გადაზღვევის მექანიზმის შექმნა, რადგან გადაზღვევა სადაზღვევო კომპანიებს სისტემური რისკებით გამოწვეული მასშტაბური დანაკარგებისგან იცავს და აგროდაზღვევის პროდუქტების გაყიდვის სტიმულს ამაღლებს.

ის, რომ ფერმერებმა საკუთარი საქმიანობა უნდა დააზღვიონ, ცალსახაა. გარდა იმისა, რომ აგროდაზღვევა ფერმერთათვის შემოსავლის სტაბილურობის გარანტს წარმოადგენს, დადებითია თავად სახელმწიფოსთვისაც, რადგან თუკი ადრე მთავრობას სტიქიის შემთხვევაში ბიუჯეტიდან უწევდა სახსრების გამოყოფა, ახლა ამ ხარჯების ნაწილი სადაზღვევო კომპანიებზე გადადის, რომელთაც თავიანთი რისკების შემცირება სხვა ქვეყანაში გადაზღვევით შეუძლიათ. როგორც ვნახეთ, ჯერ კიდევ საკმაოდ ბევრი ღონისძიებაა გასატარებელი აგროდაზღვევის განვითარების მიმართულებით, გამომდინარე აქედან, აუცილებელია სახელმწიფოს, კერძო სექტორის, ფერმერთა გაერთიანებების აქტიური თანამშრომლობა, აღნიშნული სფეროს განვითარების ხელისშემშლელ ფაქტორებზე მუშაობა, რათა გაწეული შრომა და სახსრები წყალში არ ჩაიყაროს. დროთა განმავლობაში ქვეყანაში სადაზღვევო კულტურა ჩამოყალიბდება,



აგროდაზღვევა ეტაპობრივად კომერციულ საწყისებზე გადავა და სახელმწიფოს ფერმერთა არცოდნაში ფულის გადახდა აღარ მოუწევს.

## გამოყენებული ლიტერატურის სია

### I. საკანონმდებლო აქტები და წლიური ანგარიშები

1. საქართველოს მთავრობის 2014 წლის 19 აგვისტოს განკარგულება №1462 „აგროდაზღვევის მიზნით განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ“, თბ., 2014;
2. საქართველოს მთავრობის 2015 წლის 19 თებერვლის განკარგულება №306 „აგროდაზღვევის პროგრამის დამტკიცების შესახებ“, თბ., 2015;
3. საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 მარტის განკარგულება №524 „აგროდაზღვევის პროგრამის დამტკიცების შესახებ“, თბ., 2016;
4. საქართველოს მთავრობის 2017 წლის 31 მარტის განკარგულება №648 „აგროდაზღვევის პროგრამის დამტკიცების შესახებ“, თბ., 2017;
5. საქართველოს მთავრობის 2018 წლის 24 ოქტომბრის №496 დადგენილება „აგროდაზღვევის პროგრამის“ დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 4 აპრილის №162 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“, თბ., 2018;
6. საქართველოს მთავრობის 2019 წლის 11 აპრილის დადგენილება №188 „აგროდაზღვევის პროგრამის დამტკიცების შესახებ“, თბ., 2019;
7. საქართველოს მთავრობის 2020 წლის 10 აპრილის №236 დადგენილება „აგროდაზღვევის პროგრამის დამტკიცების შესახებ“, თბ., 2020;
8. საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს 2018 წლის წლიური ანგარიში;
9. საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს 2019 წლის წლიური ანგარიში;
10. საქართველოს აგროსასურსათო პროდუქციის ექსპორტ-იმპორტი. საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო, 2019;
11. 2014-2017 წლების გარემოს მდგომარეობის შესახებ ეროვნული მოხსენება. საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო, 2019;

12. საქართველოს სოფლის მეურნეობა 2015. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, თბ., 2016;
13. საქართველოს სოფლის მეურნეობა 2018. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, თბ., 2019;
14. საქართველოს სასოფლო-სამეურნეო აღწერა 2014. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 28.04.2016,  
<http://census.ge/files/results/agriculture/AG%20Census%20Release.pdf>

## II. სამეცნიერო შრომები, მონოგრაფიები და სტატიები

1. ახალბედაშვილი ი. სოფლის მეურნეობის დაზღვევის განვითარება საქართველოში. ჟურ. „ბიომეურნე“, 2011, №1 (16), 12-22;
2. ბობოქაშვილი ზ. ხეხილოვანი კულტურების გაზაფხულის საგვიანო წყინვები. 05.02.2020. მოძიებულია 08.03.2020, <https://agrokvkaz.ge/dargebi/mebageoba/khekhilovani-kulturebis-gazaphkhulis-sagviano-tsaqhinvebi.html>
3. ვერულავა თ., ოზგაიძე ნ. აგროდაზღვევის პრობლემები საქართველოში. სამეცნიერო ჟურ. „ჯანდაცვის პოლიტიკა და დაზღვევა“, 2015, №2;
4. თეთრაძე გ., კოლუაშვილი პ. აგრარული რისკები, აგროდაზღვევისა და აგროდაკრედიტების პრობლემები. ჟურ. „ეკონომიკა“, 2017, №1, 153-160;
5. კაცია ი., დეისაძე ს. როგორ მივაღწიოთ მეტ სტაბილურობას?-აგროდაზღვევა საქართველოში. 24.06.2019. მოძიებულია 12.05.2020, <https://iset-pi.ge/index.php/ka/iset-economist-blog/entry/agro-dazghveva-sakartveloshi>
6. კაცია ი., დეისაძე ს. რა გავლენა შეიძლება მოახდინოს კლიმატის ცვლილებამ საქართველოს სოფლის მეურნეობაზე? 24.01.2020. მოძიებულია 25.04.2020, <https://iset-pi.ge/index.php/ka/iset-economist-blog/entry/ra-gavlana-sheidzleba-moakhdinos-klimatis-tsvlilebam-sakartvelos-soplis-meurneobaze>
7. კოვზანაძე ი. საქართველოს სოფლის მეურნეობის ფინანსური უზრუნველყოფის პოლიტიკა თანამედროვე ეტაპზე. ჟურ. „ეკონომიკა და ბიზნესი“, 2019, №1, 39-54;

8. ნონიაძე ა. როგორ გავხადოთ სოფლის მეურნეობა პერსპექტიული დარგი საქართველოში-აგროსექტორის დაზღვევის საერთაშორისო გამოცდილება. 15.08.2019. მოძიებულია 25.05.2020, <https://paraleli.ge/4090/>
9. რეხვიაშვილი ჯ. მოყინული ვენახები და ბაღები. 27.04.2017. მოძიებულია 29.04.2020, <https://www.radiotavisupleba.ge/a/amindi-da-glekhebis-problemebi/28455349.html>
10. ლუტიძე თ. აგრობიზნესის ფინანსური უზრუნველყოფის მექანიზმი საქართველოში. დისერტაცია, ივ. ჯავახიშვილის სახ.-ის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბ., 2017;
11. შატბერაშვილი ე., ალასანია ბ. აგროდაზღვევისა და აგროდაკრედიტების სისტემები და სოფლის მეურნეობის განვითარების ზოგადი კონტექსტი საქართველოში. ჟურ. „ბიომეურნე“, 2011, №1 (16), 4-11;
12. Agricultural insurance: products and schemes. Atlas Magazine, 14.06.2017. Retrieved 12.03.2020, from <https://www.atlas-mag.net/en/article/agricultural-insurance-products-and-schemes>
13. Bielza M., Conte C., Dittmann C., Gallego J., Stroblmair J. Agricultural Insurance Schemes. European Commission, Ispra (Italy), 2008;
14. Boissonnade A. New frontiers in agricultural insurance. The Actuary, 27.02.2015. Retrieved 25.05.2020, from <https://www.theactuary.com/features/2015/03/2015/02/27/new-frontiers-agricultural-insurance>
15. Funa D. Profiling global agricultural insurance. 14.08.2018. Retrieved 25.05.2020, from <https://businessmirror.com.ph/2018/08/14/profiling-global-agricultural-insurance/>
16. Hazell P., Sberro-Kessler R., Varangis P. When and How Should Agricultural Insurance Be Subsidized?: Issues and Good Practicies. Washington: World Bank Group, 2017;
17. Iset Policy Institute. Regulatory Impact Assessment on Crop Insurance Reform in Georgia. Tbilisi, 2015. Retrieved 12.03.2020, from <https://iset-pi.ge/images/Projects of APRC/Regulatory Impact Assessment RIA on the crop insurance reform of Georgia Final Report December 2015.pdf>

18. Mahul O., Stutley J.C. Government Support to Agricultural Insurance-Challenges and Options for Developing Countries. Washington: The World Bank, 2010;
19. Meuwissen M., Mey Y., Asseldonk M. Prospects for agricultural insurance in Europe. *Agricultural Finance Review*, 2018, Vol. 78, Issue: 2, 174-182;
20. Reyes C.M., Agbon A.D., Mina C.D., Gloria Reneli A.B. Agricultural insurance program: Lessons from different country experiences. PIDS Discussion Paper Series, January 2017, №2, <https://www.econstor.eu/bitstream/10419/173579/1/pidsdps1702.pdf>
21. Čolović V., Petrović Mrvić N. Crop Insurance – Risks and Models of Insurance. *Economics of Agriculture*, 2014 (61) 3, 561-573;
22. İÇER N. Turkish experience in public private partnership in risk management. Ankara, 2014, [https://www.preventionweb.net/files/39204\\_slipaprojectinsurancetrainingnicer.pdf](https://www.preventionweb.net/files/39204_slipaprojectinsurancetrainingnicer.pdf)
23. Сплетухов Ю. А. Сельскохозяйственное страхование в России и за рубежом: сравнительная характеристика. *Финансовый журнал*, 2018, №1, 87-99.

### III. ვებ-გვერდები

1. <https://mepa.gov.ge>
2. <http://arda.gov.ge>
3. <https://mof.ge>
4. <https://www.geostat.ge>
5. <http://insurance.gov.ge>
6. <http://www.insurance.org.ge>
7. <https://aldagi.ge>
8. <https://www.gpih.ge>
9. <https://ardi.ge>
10. <https://www.alpha.ge>
11. <https://nvi.ge>


12. <https://www.imedil.ge>
13. <https://credobank.ge>
14. <https://www.finca.ge>
15. <https://libertybank.ge>
16. <http://liberali.ge>
17. <https://ghn.ge>
18. <https://www.kvirispalitra.ge>
19. <https://netgazeti.ge>
20. <https://www.interpressnews.ge>
21. <http://www.tabula.ge>
22. <http://eugeorgia.info>
23. <https://www.newposts.ge>
24. <https://commerciant.ge>
25. <https://data.worldbank.org>
26. <https://web.tarsim.gov.tr>

## დანართი

დანართი №1. თვითუზრუნველყოფის კოეფიციენტი საქართველოში პროდუქტების მიხედვით (2018 წ.)<sup>66</sup>

პროდუქტი	თვითუზრუნველყოფის კოეფიციენტი
ხორბალი	15%
სიმინდი	71%
კარტოფილი	102%
ბოსტნეული	59%
ყურძენი	152%
ხორცი	52%
მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ხორცი	77%
ცხვრისა და თხის ხორცი	294%
ღორის ხორცი	45%
ფრინველის ხორცი	34%
რძე და რძის პროდუქტები	81%
კვერცხი	99%


დანართი №2. პირუტყვის რაოდენობა საქართველოში წლის ბოლოსთვის (ათასი სული) 2014-2018 წლებში<sup>67</sup>



<sup>66</sup> წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური.

<sup>67</sup> წყარო: საქართველოს სოფლის მეურნეობა 2018. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, თბ., 2019.

დანართი №3. საქართველოში პირუტყვის დაცემა 2014-2018 წლებში (ათასი სული)<sup>68</sup>



დანართი №4. საქართველოში აგროდაზღვევის სახეობაში მიღებული პრემია და გაცემული ანაზღაურება: 2010-2013 წლების მონაცემების შედარება სახელმწიფო პროგრამის „აგროდაზღვევა“ ამოქმედების შემდგომ პერიოდთან<sup>69</sup>

წელი	ჯამური სადაზღვევო პრემია (ლ.)	ანაზღაურებული ზიანი (ლ.)	ზარალიანობის წმინდა კოეფიციენტი (%)*
2010	76 933	84 805	110
2011	84 626	93 286	110
2012	93 089	956 353	1027
2013	182 556	56 727	31.1
2014	12 586 739	11 296 414	89.7
2015	3 444 300	2 904 487	84.3
2016	11 981 874	6 211 368	51.8
2017	11 649 283	9 284 934	79.7
2018	7 135 833	5 645 178	79.1
2019	9 583 048	2 909 637	30.4


\*დანაგარიშებულია ავტორის მიერ

<sup>68</sup> წყარო: საქართველოს სოფლის მეურნეობა 2018. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, თბ., 2019.

<sup>69</sup> წყარო: საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს 2019 წლის წლიური ანგარიში.




დანართი №5. საქართველოს სოფლის მეურნეობის წილი მშპ-ში (%) და აგროდაზღვევის წილი სადაზღვევო სექტორში (%) 2010-2019 წლებში<sup>70</sup>



\*2019 წელს სოფლის მეურნეობის წილი მშპ-ში წინასწარი მონაცემებით

დანართი №6. „აგროდაზღვევის პროგრამის“ ფარგლებში გაცემული სადაზღვევო პოლისების რაოდენობა 2014-2019 წლებში<sup>71</sup>



<sup>70</sup> გრაფიკი აგებულია ავტორის მიერ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის მონაცემებზე დაყრდნობით.

<sup>71</sup> წყარო: საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს 2019 წლის წლიური ანგარიში.

დანართი №7. „აგროდაზღვევის პროგრამის“ ფარგლებში გაცემული პოლისების რაოდენობა, დაზღვეული ფართობი, მოზიდული სადაზღვევო პრემია და ანაზღაურებული ზარალი რეგიონების მიხედვით 2014-2019 წლებში<sup>72</sup>

რეგიონი	პოლისების რაოდენობა	დაზღვეული ფართობი (ჰა)	მოზიდული სადაზღვევო პრემია (ლარი)	სახელმწიფოს მიერ გადახდილი პრემიის წილი (ლარი)	ანაზღაურებული ზარალი (ლარი)
<b>სულ</b>	<b>97 926</b>	<b>85 265</b>	<b>56 381 077</b>	<b>39 700 667</b>	<b>38 252 017</b>
მათ შორის:					
აჭარა	23 186	7 637	5 368 997	4 040 759	6 447 736
გურია	8 845	3 119	1 760 586	1 558 444	501 375
თბილისი	9	2	1 144	855	0
იმერეთი	6 169	2 020	447 040	271 778	14 037
კახეთი	35 822	44 226	30 074 567	20 254 756	19 353 339
მცხეთა-მთიანეთი	261	317	152 736	123 926	13 691
რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	391	156	71 513	41 451	14 772
სამეგრელო-ზემო სვანეთი	8 130	6 038	2 107 737	1 578 160	1 113 479
სამცხე-ჯავახეთი	4 043	4 906	4 259 666	2 916 517	2 035 276
ქვემო ქართლი	2 598	8 120	1 844 858	1 406 481	2 084 428
შიდა ქართლი	8 476	8 722	10 292 233	7 507 541	6 673 886

<sup>72</sup> წყარო: საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს 2019 წლის წლიური ანგარიში.

დანართი №8. „აგროდაზღვევის პროგრამის“ ფარგლებში გაცემული პოლისების რაოდენობა, დაზღვეული ფართობი, მოზიდული სადაზღვევო პრემია და ანაზღაურებული ზარალი რეგიონების მიხედვით 2019 წ.<sup>73</sup>

რეგიონი	პოლისების რაოდენობა	დაზღვეული ფართობი (ჰა)	მოზიდული სადაზღვევო პრემია (ლარი)	სახელმწიფოს მიერ გადახდილი პრემიის წილი (ლარი)	ანაზღაურებული ზარალი (ლარი)
<b>სულ</b>	<b>16 473</b>	<b>13 852</b>	<b>9 583 048</b>	<b>5 846 204</b>	<b>2 909 637</b>
მათ შორის:					
აჭარა	858	258	261 093	181 997	3 802
გურია	208	87	31 481	21 894	121
თბილისი	2	-	214	150	-
იმერეთი	1 993	571	152 312	90 491	310
კახეთი	8 464	8 308	5 765 876	3 208 095	2 044 084
მცხეთა-მთიანეთი	61	24	8 219	5 584	1 400
რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	156	45	24 689	12 600	894
სამეგრელო-ზემო სვანეთი	1 337	696	205 898	143 675	45 835
სამცხე-ჯავახეთი	613	569	522 707	365 749	142 233
ქვემო ქართლი	785	1 483	340 142	230 759	117 515
შიდა ქართლი	1 998	1 811	2 270 418	1 585 209	553 444


<sup>73</sup> წყარო: საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს 2019 წლის წლიური ანგარიში.

დანართი №9. „აგროდაზღვევის პროგრამის“ ფარგლებში გაცემული პოლისების რაოდენობა და დაზღვეული ფართობი რეგიონების მიხედვით 2018-2019 წლებში<sup>74</sup>

რეგიონი	2018 წ.		2019 წ.	
	პოლისების რაოდენობა	ფართობი (ჰა)	პოლისების რაოდენობა	ფართობი (ჰა)
აჭარა	449	152	858	258
გურია	67	25	208	87
თბილისი	3	1	2	-
იმერეთი	2 102	560	1 993	571
კახეთი	5 966	6 224	8 464	8 308
მცხეთა-მთიანეთი	55	17	61	24
რაჭა-ლეჩხუმი-ქვემო სვანეთი	87	14	156	45
სამეგრელო-ზემო სვანეთი	917	508	1 337	696
სამცხე-ჯავახეთი	554	516	613	569
ქვემო ქართლი	664	2 015	785	1 483
შიდა ქართლი	1 710	1 525	1 998	1 811
სულ	12 574	11 557	16 473	13 852

<sup>74</sup> წყარო: საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს 2018 და 2019 წლების წლიური ანგარიშები.

დანართი №10. „აგროდაზღვევის პროგრამის“ ფარგლებში დაზღვეული ფართობი რეგიონების მიხედვით 2014-2019 წლებში<sup>75</sup>




დანართი №11. „აგროდაზღვევის პროგრამით“ დაზღვევას დაქვემდებარებული ერთწლიანი კულტურების ნათესი და დაზღვეული ფართობები (ჰა) 2014-2019 წლებში<sup>76</sup>

წელი	2014	2015	2016	2017	2018	2019
ნათესი ფართობი	254100	242700	218900	199000	187500	187500
დაზღვეული ფართობი	4964	2129	6353	9978	5603	5894
დაზღვეული ფართობის წილი (%)	1.95	0.9	2.9	5.0	3.0	3.1


<sup>75</sup> წყარო: საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს 2019 წლის წლიური ანგარიში.

<sup>76</sup> ცხრილი შედგენილია ავტორის მიერ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურისა და სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სააგენტოს მონაცემებზე დაყრდნობით.

დანართი №12. „აგროდაზღვევის პროგრამის“ ფარგლებში დაზღვეული ფართობი კულტურების მიხედვით (ჰა) 2014-2019 წლებში<sup>77</sup>




დანართი №13. „აგროდაზღვევის პროგრამის“ ფარგლებში დაზღვეული ფართობი კულტურების მიხედვით 2019წ.<sup>78</sup>




<sup>77</sup> წყარო: სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სააგენტო.

<sup>78</sup> წყარო: სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სააგენტო.

**დანართი №14. „აგროდაზღვევის პროგრამის“ ფარგლებში ანაზღაურებული ზარალების ოდენობა დაზღვეული რისკების მიხედვით (მლნ. ლარი) 2014-2019 წლებში<sup>79</sup>**




**დანართი №15. „აგროდაზღვევის პროგრამის“ ფარგლებში ანაზღაურებული ზარალების ოდენობა დაზღვეული კულტურების მიხედვით (მლნ. ლარი) 2014-2019 წლებში<sup>80</sup>**




<sup>79</sup> წყარო: სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სააგენტო.

<sup>80</sup> წყარო: სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სააგენტო.

დანართი №16. „აგროდაზღვევის პროგრამის“ ფარგლებში ანაზღაურებული ზარალების ოდენობა დაზღვეული კულტურების მიხედვით (%) 2014-2019 წლებში<sup>81</sup>



დანართი №17. „აგროდაზღვევის პროგრამის“ ზარალიანობა რეგიონების მიხედვით (%) 2014-2019 წლებში<sup>82</sup>



<sup>81</sup> წყარო: სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სააგენტო.

<sup>82</sup> წყარო: საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს 2019 წლის წლიური ანგარიში.



დანართი №18. მეურნეობების სარგებლობაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ფართობი რეგიონების მიხედვით (2014 წლის 1 ოქტომბრის მდგომარეობით)<sup>83</sup>

რეგიონი	მეურნეობების რაოდენობა სასოფლო-სამეურნეო მიწით (ათასი ერთეული)	სასოფლო-სამეურნეო მიწა (ათასი ჰა)	საშუალო ფართობი (ჰა)
საქართველო	574.1	787.7	1.4
მათ შორის:			
აჭარა	43.9	19.7	0.4
გურია	33.5	26.9	0.8
თბილისი	13.6	2.8	0.2
იმერეთი	111.2	65.7	0.6
კახეთი	88.8	315.5	3.6
მცხეთა-მთიანეთი	29.9	20.8	0.7
რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	13.5	5.8	0.4
სამეგრელო-ზემო სვანეთი	76.4	66.7	0.9
სამცხე-ჯავახეთი	34.5	76.1	2.2
ქვემო ქართლი	67.5	122.3	1.8
შიდა ქართლი	61.3	65.4	1.1

<sup>83</sup> წყარო: საქართველოს სასოფლო-სამეურნეო აღწერა 2014. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 28.04.2016.

დანართი №19. საქართველოში მრავალწლოვანი ნარგავებით დაკავებული მიწის ფართობები  
(ათასი ჰექტარი) 2017 წლის მდგომარეობით <sup>84</sup>

სულ	120.8
მათ შორის:	
ხეხილის ბაღები	74.8
კენკროვნები	1.0
ვენახები	36.1
ციტრუსის პლანტაციები	8.9

---

<sup>84</sup> წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური.

დანართი №20. აგროდაზღვევის გავრცელებული პროდუქტები განვითარებული და განვითარებადი ეკონომიკის ქვეყნებში<sup>85</sup>

ქვეყანა	მოსავლის დაზღვევა ერთი რისკისგან	MPCI	შემოსავლის დაზღვევა	პირუტყვის დაზღვევა	ინდექსირებული დაზღვევა
<b>არასუბსიდირებული</b>					
ავსტრალია	X			პირუტყვის სიკვდილი	
გერმანია	X	X		ყველა რისკი	
საბერძნეთი	X			ყველა რისკი	
უნგრეთი	X			პირუტყვის სიკვდილი	
ახალი ზელანდია	X			პირუტყვის სიკვდილი	მოსავალი
შვედეთი	X		X	პირუტყვის სიკვდილი	
ნიდერლანდები	X			პირუტყვის სიკვდილი	
<b>სუბსიდირებული</b>					
ავსტრია	X	X		პირუტყვის სიკვდილი	მოსავალი
კანადა	X	X	X	ყველა რისკი	მოსავალი
კვიპროსი	X				
ჩეხეთის რესპუბლიკა	X			პირუტყვის სიკვდილი	
საფრანგეთი	X	X		პირუტყვის სიკვდილი	
ისრაელი	X			პირუტყვის სიკვდილი	
იტალია	X	X		პირუტყვის	

<sup>85</sup> წყარო: Reyes C.M., Agbon A.D., Mina C.D., Gloria Reneli A.B. Agricultural insurance program: Lessons from different country experiences. PIDS Discussion Paper Series, January 2017, №2, <https://www.econstor.eu/bitstream/10419/173579/1/pidsdps1702.pdf>

				სიკვდილი	
იაპონია	X	X		ყველა რისკი	
პორტუგალია	X	X			
სლოვენია	X			ყველა რისკი	
სამხრეთი კორეა	X	X		პირუტყვის სიკვდილი	
ესპანეთი	X	X		პირუტყვის სიკვდილი	მოსავალი
შვეიცარია	X	X		პირუტყვის სიკვდილი	
აშშ	X	X	X	ფასი/ზღვარი	მოსავალი, სამოვრები
ფილიპინები	X	X		პირუტყვის სიკვდილი	მოსავალი
მალავი	X				მოსავალი
ეთიოპია	X				მოსავალი
ტაილანდი	X				მოსავალი
ვიეტნამი	X				მოსავალი
უგანდა	X				მოსავალი
ინდოეთი	X				მოსავალი
სუბსაჰარის აფრიკა	X				მოსავალი
კენია				პირუტყვის სიკვდილი	
მონღოლეთი				პირუტყვის სიკვდილი	
ნეპალი				პირუტყვის სიკვდილი	

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Faculty of Economics and Business

Finance and Banking Affairs

Nana Tigishvili

**Georgian Agricultural Insurance Market: Reality and Prospects**

This Thesis is submitted to obtain the Academic degree of Master (MA) in Business Administration

Thesis Supervisor: Irakli Kovzanadze PhD,  
Professor Department of Economics sciences

Tbilisi

2020